საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 11 თებერვალი. 2016 წ. №26 (7918), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

საქართველოს კრიზისის სათავე – კლანური სისტემა და ნეპოტიზმი



④

აქა ამბავი მექოთნე ოპოზიციისა და, ზოგჯერ, ამგვარივე უმრავლესობისაც

③

უზიზღობა სულ სხვაა, კრიზისების მართვა – სხვა!

ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო!

⑩

მარათონით – თამაშებისკენ

⑥

დემოკრატია და სახელმწიფოს მართვა

ანუ როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა შესაცვლელი, ასევე შესაცვლელია ხელისუფლებისთვის ბრძოლის ფორმები

მაგთიკომმა მე-4 თაობის ინტერნეტის სიჩქარე 2-ჯერ გაზარდა

მაგთიკომმა ყველა 4G სადგურზე მონაცემთა გადაცემის გამტარუნარიანობა ორჯერ გაზარდა, რაც ინტერნეტის თეორიულ მაქსიმალურ სიჩქარეს წამში 150 მეგაბიტამდე ზრდის.

დღეისათვის მაგთიკომს, საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებს შორის, ყველაზე მეტი 2G/3G/4G საბაზო სადგური აქვს (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის მე-3 კვარტალის მონაცემებით). ამას მე-4 თაობის ინტერნეტის უკვე ორჯერ გაზრდილი სიჩქარეც დაემატა და, შედეგად, მომხმარებელი მაგთიკომისგან იღებს საუკეთესო ქსელს, ხარისხსა და ინტერნეტის სიჩქარეს.

მაგთიკომი
MAGTICOM

სარედაქციო რეპლიკა

შევალთ? არ შევალთ?

ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების გასაგონად

კიდევ ერთი ცალმხრივი, გაუანალიზებელი ცნობა მოვიდა ამერიკიდან. შეერთებული შტატების დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა **ჯეიმს კლეპერმა** სენატში ანგარიში წარადგინა და საქართველოს დასავლური ორიენტაციის საფრთხეებზე ისაუბრა.

— 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დასავლური ინტეგრაციის ნელ ტემპს საქართველოში ემატება ეფექტური რუსული პროპაგანდა, რის გამოც თბილისმა შესაძლოა, შეასუსტოს, ან შეაჩეროს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით სვლა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რეფორმების თვალსაზრისით წარმატებას აღწევს, ქართული პოლიტიკა კონკურენციის ზრდის ფონზე უდავოდ ცვალებადი იქნება. ეკონომიკური ფაქტორები 2016 წლის არჩევნების წინ, მთავრობისთვის, სავარაუდოდ, მთავარი პოლიტიკური სისუსტე გახდება, — ბრძანა ჯეიმს კლეპერმა.

ძვირფას ამერიკელ მაღალჩინოსანს, ყველა ჩვენს დასავლელ მეოხ პარტნიორს ერთმნიშვნელოვნად და გულწრფელად უნდა ვუთხრათ, რომ ევროატლანტიკური მიმართულება კარგა ხანია ქართველი ხალხის ურყევი არჩევანია და ბოლო დროის მოვლენები, ევროატლანტიკური „ტემპის შენელება“, „ეკონომიკური სისუსტეები“ რუსეთის ეფექტური პროპაგანდის ბრალი კი არ არის, არამედ ევროატლანტიკური გაერთიანების დიპლომატიური ტყუილების (თანაც, მერამდენე ტყუილის!), რუსეთის ბირთვული სიძლიერის გამო თქვენი შიშის და, რაც მთავარია, საქართველოსგან ძებნილი, ოფიციალურად ბრალდებული, სისხლის სამართლის დამნაშავე მიხეილ სააკაშვილის და მისი ნაციონალური ხროვის აშკარა მხარდაჭერის ბრალი გახლავთ.

თქვენ ქართველ ხალხს თითქმის არაფერს ეკითხებით და მხოლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესების მოღალატე ნაციონალების ცრუ ინფორმაციებს ეყრდნობით.

მხოლოდ ამიტომ იბრუნა ხალხის ერთმა ნაწილმა პირი (თუ იბრუნა!) ევრაზიული კავშირისა და რუსეთისკენ.

გაითვალისწინეთ ეს, ჩვენო მთავარო სტრატეგიულო პარტნიორებო!

სრ

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.486; ევრო - 2.786;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.599;
100 რუბლი - 3.182; თურქული ლირა - 0.844;
აზერბაიჯანული მანათი - 1.575;
1000 სომხური დრამი - 5.042

ამინდი 11 თებერვლისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -4,	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე -9,	დღე +7
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +2,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +11
თბილისი:	ღამე 0,	დღე +6

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

გიორგი კვირიკაშვილი:

მოუთმენლად ველით ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღებას

ვიზების ლიბერალიზაციის პროცესის დროული დასრულება არის ჩვენი დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი; საქართველომ წარმატებით შეასრულა ყველა ტექნიკური მოთხოვნა და ჩვენ მოუთმენლად ველით ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღებას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროკომისართან ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანთან და ევროკომისართან მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში დიმიტრის ავრამოპულოსთან ერთობლივად გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა.

„ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ჩვენი სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან და უცხოური ინვესტიციების ნაკადი გაიზარდა. ვიმედოვნებთ, ეს ტენდენცია გაგრძელდება — ჩვენ მზად ვართ, სრულად გამოვიყენოთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის პოტენციალი. ეკონომიკური მოდერნიზაციისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობა, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტისა, არის ჩვენი მთავრობის პრიორიტეტიც და ამ მიმართულებით რეფორმების გაგრძელება ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება უზრუნველყოფს არჩევნების უმაღლესი სტანდარტებით ჩატარებას, პოლიტიკური ძალების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდას, მედიის თავისუფლებას და კანონის უზენაესობას.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირთან დიალოგი გაგრძელდება, რათა დადგინდეს, ევროპის განახლებული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების ახალი სფეროები, რაც ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის დაჩქარებას შეუწყობს ხელს.

ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა კი პრემიერთან შეხვედრა პროდუქტიულად და მეგობრულად შეაფასა.

მისი თქმით, ევროკავშირი ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში საქართველოს მხარდაჭერას განაგრძობს.

როგორც ევროკომისარმა აღნიშნა, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში და საბოლოო გადაწყვეტილება ევროპარლამენტზეა დამოკიდებული.

„ამ კონტექსტში ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ უნდა ვიმუშავოთ ერთად იმ რეფორმების გასატარებლად, რომელიც აუცილებელია. საუბარია, სასამართლო რეფორმაზე, პროკურატურისა და სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. ევროკავშირი განაგრძობს ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესის მხარდაჭერას. ჩვენ გამოვყავით 410 მილიონი ევრო 2014-2017 წლებში საქართველოსთვის. ეს რესურსები დაიხარჯება სოფლის მეურნეობისა და სხვა პრიორიტეტული დარგების განვითარებისთვის. ვფიქრობთ, ეს მხარდაჭერა და წარმატებული რეფორმები დაეხმარება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინვესტიციების ზრდაში“, — განაცხადა იოჰანეს ჰანმა.

ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ფინალურ გადაწყვეტილებასთან, — ეს განცხადება კი ევროკომისარმა მიგრაციის, საშინაო და მოქალაქეობის საკითხებში დიმიტრის ავრამოპულოსმა გააკეთა.

მისი თქმით, დეკემბერში გამოქვეყნებულ ანგარიშში ევროკომისიამ აღნიშნა, რომ საქართველომ სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა შეასრულა.

ევროკომისრის შეფასებით, საქართველოს მთავრობამ სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია, რამაც პოზიტიური შედეგები მოიტანა.

* * *

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების პროცესი და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჩართულობა იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჰერბერტ ზალბერის შეხვედრის მთავარი თემები.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მხარეებმა საუბრისას ხაზი გაუსვეს ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას და ჟენევის მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდისთვის დიალოგისთვის კონსტრუქციული ატმოსფეროს შექმნის იმედი გამოთქვეს.

ჰერბერტ ზალბერი საქართველოში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდისთვის მოსამზადებლად გამოემგზავრა, რათა შეხვედრები გამართოს.

უკონტაქტო პატრულირებას თვალთვალთან არავითარი კავშირი არა აქვს

შინაგან საქმეთა სამინისტრო უკონტაქტო პატრულირებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს კიდევ ერთხელ განვმარტოთ შსს-ს პოზიცია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კანონპროექტთან, კერძოდ, უკონტაქტო პატრულირებასთან დაკავშირებით.

ბოლო დღეებში მედიაში მიზანმიმართულად ხდება მოსაზრებების ტირაჟირება იმის თაობაზე, რომ შსს ე.წ. „ფარულ თვალთვალს“ იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ შსს-მ არაერთგზის არგუმენტირებულად განმარტა, რომ უკონტაქტო პატრულირებას „თვალთვალთან“ საერთო არაფერი აქვს, აშკარაა, რომ შეგნებულად ხდება აღნიშნულის არასწორი ინტერპრეტაცია, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით.

უკანასკნელ 2-3 წელიწადში საქართველოში ავტომანქანების რაოდენობა 20%-ით გაიზარდა. იმატა დატვირთვამ გზებზე და ავტოსაგზაო შემთხვევების რისკებმაც.

შსს-ს ძირითადი ამოცანაა, დაიცვას მოქალაქეების სიცოცხლე და უსაფრთხოება. შესაბამისად, ჩვენ ვალდებული ვართ, აღნიშნულ სფეროში ქმედითი ღონისძიებები გავატაროთ.

უკონტაქტო პატრულირება არ ხორციელდება წინასწარ იდენტიფიცირებული პირის ან პირთა წრის მიმართ, არამედ — საგზაო მოძრაობის პროცესის მიმართ, პიროვნების იდენტიფიცირების გარეშე. უკონტაქტო პატრულირებისას ხდება მხოლოდ დამრღვევი ავტოსატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება.

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაშიც კი, არ ხდება მძღოლის იდენტიფიცირება — ავტომობილის მესაკუთრის სახელზე დგება ვიდეოჯარიმის ოქმი, რომელიც დღესაც დამკვიდრებული სტანდარტია.

უკონტაქტო პატრულირება დასავლეთის არაერთ ქვეყანაშია აპრობირებული და იცავს მოძრაობის მონაწილეებს: ქვეითებს, მგზავრებს და მძღოლებს — მაშინაც კი, როდესაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები არ ჩანან.

პროექტის თანახმად, უკონტაქტო პატრულირება მართვის მოწმობებს ქულებს არ აკლებს.

რაც შეეხება მოთხოვნას სპეციალური საინფორმაციო ნიშნების განთავსების თაობაზე, ეს საკითხი ისედაც მოწესრიგებულია პოლიციის შესახებ კანონით, კერძოდ, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტით, სადაც ნათქვამია, რომ ვიდეოტექნიკის გამოყენების თაობაზე ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას.

ⓞ ერიჰა!

როცა ხალხი არავის აინტერესებს

ახალგორში ქართველებს ნათესავების დაკრძალვებზე აღარ უშვებენ

ახალგორელმა აქტივისტმა თამარ მეარაკიშვილმა „Эхо Кавказа“-ს იმ ახალი შეზღუდვის შესახებ უამბო, რომელიც დანარჩენ საქართველოსთან ე.წ. საზღვრის კვეთაზე დაწესდა. მისი თქმით, ახალი წლიდან საქართველოს მოქალაქეები ველარ ესწრებიან დაკრძალვებს ახალგორის რაიონში თუ სპეციალური საშვი არა აქვთ — საბუთი, რომელიც იქ ე.წ. ბინადრობის მოწმობას ცვლის.

თამარის თქმით, ადგილობრივი ჩინოსნები საქართველოს მოქალაქეებისთვის ნათესავების დაკრძალვებზე დასწრების შეზღუდვის მიზეზებზე საუბრისას სიტყვიერ განკარგულებას იშველიებდნენ, რომელიც ცხინვალიდან მოდიოდა. ამასთან, არავითარი ოფიციალური დოკუმენტი თვალით არავის უნახავს — უბრალოდ თავიდან უშვებდნენ, ჩინოსნები იღებდნენ გადაწყვეტილებებს კეთილი ნებიდან გამომდინარე. ახლა, როგორც ჩანს, ეს კეთილი ნება იწურება.

საქმე ის არის, — ყვება თამარი, — რომ ე.წ. საზღვრის კვეთის პრობლემა — მთავარია, რის გამოც ყველაზე ხშირად აწუხებენ რაიონის ხელმძღვანელს და, სავარაუდოდ, სურვილის შემთხვევაში ის გამონახავდა დროს და შესაძლებლობას, რეაგირება მოეხდინა სიგნალებზე ქვემოდან, როგორც უნდა იქცეოდეს კიდეც ადამიანი, რომელსაც ხალხის ინტერესების დაცვა დაეკისრა, მაგრამ ხალხი ხომ არავის აინტერესებს!

ⓞ ვითარება

ვითარც აქლემთა ჭიდილში გაჭყლეტილი კოზაკი?!

რა ელოდება საქართველოს, თუ რუსეთი თურქეთს 1921 წლის ხელშეკრულებას გაუუქმებს?

BBC-ის რუსეთის ბიურო ავრცელებს ინფორმაციას, რომ რუსეთის სათათბიროს დეპუტატებმა რუსეთს და თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს გაფორმებული „მეგობრობისა და ძმობის შესახებ შეთანხმების“ გაუქმება მოითხოვეს. რუსეთის „კომუნისტური პარტიის“ წევრებმა ვალერი რაშკინმა და სერგეი ობუხოვმა ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით წერილი პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს უკვე გაუგზავნეს.

რა შეთანხმებაზეა საუბარი? 1921 წლის 16 მარტს, რუსეთის საბჭოთა ფედერალური სოციალისტური რესპუბლიკისა და თურქეთის სახალხო კრების ხელისუფლებას შორის ხელმოწერილი დოკუმენტი თურქეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს განსაზღვრავს. „მეგობრობისა და ძმობის შეთანხმების“ გარდა, ხელშეკრულება თურქეთისთვის ბათუმის ოლქის გადაცემასაც ითვალისწინებდა, თვითონ ბათუმზე კი, თურქეთი პრეტენზიას აღარ აცხადებდა.

ᲫᲐᲠᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს საქართველოს, კონკრეტულად კი ბათუმს, გასული საუკუნის დასაწყისში მეზობელ ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში? ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური „პოლიტკომერსანტთან“ საუბარში ამბობს, რომ საერთაშორისო სამართლისა და იურიდიული ნორმების თანახმად ბათუმს არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

„1921 წლის შეთანხმებით ბათუმი თურქეთს რომ გადაეცა, შემდეგ ეს ხელშეკრულება 1922 წელს ანულირებული იქნა ყარსის ხელშეკრულებით. ასე რომ, ბათუმის ოლქს თურქეთი ჯარით თუ წაიღებს, თორემ ისე არავითარი იურიდიული და სამართლებრივი უფლება არ აქვს... საერთაშორისო სამართლის ნორმების თვლსაზრისით არავითარი საფრთხე არ გვემუქრება.

საფრთხე შეიძლება იყოს სხვა რამეში, რუსეთიც და თურქეთიც ჩვენი მეზობლები არიან. ორივე დიდი ქვეყანაა და მათ დაპირისპირებაში საქართველო შეიძლება გახდეს სატრანზიტო დერეფანი. ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობა და სიტუაცია რომ გვქონდეს, რუსეთიც და თურქეთიც თბილისში უნდა ჩამოდიოდნენ მოლაპარაკებებისთვის. ადრე ჩვენი ქვეყანა დაპირისპირებულ მეზობლებს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. საფრთხე ძალიან დიდია, საინტერესოა მათ შორის კონფლიქტი როგორ აისახება ჩვენზე და რა მოქმედებები შეიძლება მოხდეს ჩვენს ტერიტორიაზე“, — განმარტავს გიორგი ოთხმეზური.

თამთა ვირსალაძე

ოპოზიცია ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციების დახვეწის მომხრეა და კრიზისების მართვის საბჭოსგან შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის წარდგენას ითხოვს, უმრავლესობა კი, აღნიშნული სტრუქტურების ფუნქციებს ერთმანეთისგან მიჯნავს და ოპოზიციის შეხედულებებს არ იზიარებს.

რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ ირინა იმერლიშვილისა და მინდია ჯანელიძის უწყებებს? — ამის გარკვევის მიზნით, for.ge პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვახტანგ ხმალაძეს ესაუბრა:

უშიშროება სულ სხვაა, კრიზისების მართვა - სხვა!

აქა ამბავი მექოთნე ოპოზიციისა და, ზოგჯერ, ამგვარივე უმრავლესობისაც

— ბატონო ვახტანგ, რა შედის ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციებში?

— უშიშროების საბჭო კონსტიტუციის იმ თავშია შეტანილი, რომელსაც სახელმწიფოს თავდაცვა ჰქვია. ეს იმ ფუნქციაზე მიანიშნებს, რომელსაც ეროვნული უშიშროების საბჭო უნდა ატარებდეს. კონსტიტუციის გათვალისწინებით, ეროვნული უშიშროების საბჭო სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვით ორგანიზაციისთვის იქმნება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, ანუ საბჭოს ჩარჩო კონსტიტუციამ განსაზღვრა. შესაბამისად, ეროვნული უშიშროების საბჭოს საქმიანობაც ამ ორი მსხვილი საკითხით უნდა შემოიფარგლებოდეს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და რომელსაც მთავრობა აღასრულებს.

ამ საბჭოს აღმასრულებელი ფუნქციები ვერანაირად ვერ ექნება, იგი ნორმატიულ აქტებს არ გამოსცემს და მისი ერთადერთი გადაწყვეტილება ისაა, რომ პარლამენტს სამხედრო ძალების რაოდენობას წარუდგენს. მას სხვა ფუნქციები არა აქვს და სრულიად აუცილებელია, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში ისეთი უწყება არსებობდეს, რომელიც, ერთი მხრივ, წინასწარ დაგეგმავს სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციას, რაც შეიძლება იყოს გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფებით, ეპიდემიებით, მასობრივი არეულობებითა და ქვეყნის მიმართ აგრესიით.

— ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ამ გამოწვევებს კრიზისების მართვის საბჭო პასუხობს?

— კრიზისების საბჭომ კრიზისების შესაძლო სცენარები უნდა შექმნას, რომელიც უნდა დაამუშაოს და მოამზადოს მასალა, თუ როგორი სცენარები შეიძლება განვითარდეს, ასევე თითოეულის მოხდენის შემთხვევაში რა მოქმედებები უნდა შესრულდეს და ამ პროცესში რომელი უწყება უნდა ჩაერთოს. ნათელია, რომ ეპიდემიის დროს წამყვანი ჯანდაცვის სამინისტრო იქნება, ხოლო ეკოლოგიური კატასტროფის დროს - გარემოს დაცვის სამინისტრო. თუკი კრიზისული ვითარება შეიქმნება, მაგიდაზე მზა სცენარი უნდა დადონ, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ. გარდა ამისა, ამ უწყებაში გაერთიანებული უნდა იყოს მართვის კომუნიკაციები. ეს ყველაფერი მთავრობის საქმეა და არა ეროვნული უშიშროების საბჭოსი.

— ე. ი. თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ორი სტრუქტურის გაერთიანება თავსებადი არ იქნება?

— არ იქნება, რადგან გამოვა, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას იძენს. ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, სადაც ასევე შედიან: პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, რამდენიმე მინისტრი და კომიტეტის რამდენიმე თავმჯდომარე. ამ კონფიგურაციას თუ შევხედავთ, ყველაზე მეტი წილი მთავრობაზე მოდის. რატომ? - იმიტომ, რომ იმ საკითხების მოსაგვარებლად, რასაც კონსტიტუცია ავალებს, ამას სჭირდება როგორც საკანონმდებლო ბაზა, ასევე კონკრეტული მოქმედებების შესრულება და ფინანსების გამოყოფა. კრიზისების მართვის უწყება მთავრობაში უნდა იყოს და არა პრეზიდენტთან.

— ეს საბჭოები ცალ-ცალკე თავიანთ ფუნქციებს რამდენად ნაყოფიერად ასრულებენ?

— მოგეხსენებათ, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს მუშაობაში გარკვეული პრობლემები იყო და დღეს ამ პრობლემებს ვეღარ ვხედავ. რაც შეეხება მისი საქმიანობის ეფექტურობას, ამის შეფასება გამიჭირდება, რადგან როგორც წესი, უშიშროების საბჭოს სხდომები დახურულია, სადაც საიდუმლო ინფორმაციების შემცველი ცნობები განიხილება. ეროვნული უშიშროების საბჭოს მუშაობის შედეგებზე მსჯელობა იმის მიხედვით შეგვიძლია, თუკი ქვეყანას სამხედრო უსაფრთხოებას საფრთხე შეექმნება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს ვითარება შეიქმნას, მაგრამ დასკვნების გაკეთება მაშინ შეგვეძლება.

რაც შეეხება კრიზისების მართვის საბჭოს, ამ საბჭოს შექმნიდან დიდი დრო არ არის გასული. ზოგადად, კრიზისების მართვა საკმაოდ რთულია, რომელსაც სათანადო ორგანიზება და სათანადო ცოდნა სჭირდება. ჩვენთან ასეთი უწყება არ არსებობდა და ამის შექმნა ნულიდან დაიწყო. კრიზისების მართვა დონეების მიხედვით არის განსაზღვრული. ევროპის ძველ სახელმწიფოებს კრიზისების მართვის გამოცდილება აქვთ. შეფასებების გაკეთება მაშინ შეგვეძლება, როცა ესა თუ ის კრიზისი წარმოიქმნება და შევხედავთ, მას სახელმწიფო რამდენად გაუმკლავდება.

— სახელმწიფო 13 ივნისის მოვლენებს როგორ გაუმკლავდა?

— ზაფხულში რაც მოხდა, მაშინ სისტემა შექმნილი არ იყო. ამას ყველაფერს დრო და რესურსები სჭირდება როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური.

— თქვენ ეროვნული უშიშროების საბჭოსა და კრიზისების მართვის საბჭოს ფუნქციები გამიჯნეთ. კონსტიტუციას ოპოზიციონერები კითხულობენ და შესაბამისად, მათ რა მიზანი ამოქმედებთ, როცა ამბობენ, რომ ამ სტრუქტურების ფუნქცია ერთი და იგივეა?

— ეს ფუნქციები იდენტური არ არის. ზოგჯერ ადამიანები მექოთნესავით იქცევიან — ამ ქოთანს ყურს საიდანაც მინდა, იქიდან მოვაბამო.

— ანუ ქართველი ოპოზიციონერებიც მექოთნეებს გვანან?

— არა მარტო ოპოზიცია, ზოგჯერ, უმრავლესობაც მექოთნეს ჰგავს. ასეთი თვისება გარკვეულ ადამიანებსა და ორგანიზაციებს ახასიათებთ. ზოგადად, ობიექტურობა ძალიან რთული რაღაცაა. ადამიანებზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც მათ არაობიექტურობისკენ უბიძგებთ. მე თუ მკითხავთ, ქვეყანაში ოპოზიცია აუცილებელია, მაგრამ აქ ისეთი ოპოზიცია იგულისხმება, რომელიც ვითარებებს კვალიფიციურად, კეთილსინდისიერად და ობიექტურად აფასებს. კეთილსინდისიერი მეცნიერი, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, ყოველთვის ძლიერ ოპონენტებს ეძებს. რატომ? — ოპონირების პროცესში ის თავისი დასკვნების სისწორეში განმტკიცდება, ან ხარვეზს დაინახავს. ოპონირება ასეთი ტიპის უნდა იყოს.

— ქართულ რეალობაში ოპონირება როგორია?

— ობიექტური ოპონირება იშვიათია. იმის თქმა არ მინდა, რომ ოპონენტების გამონათქვამები ყოველთვის უსაფუძვლოა, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათია. როცა უმრავლესობის ნებისმიერი მოქმედება უარყოფითად ფასდება, ეს უბრალოდ არასწორია. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში ხდება, როცა მავანი, ვინც გაკრიტიკებს, ხელისუფლებაში თავად იყო და ახლა მმართველი გუნდისგან იმის გაკეთებას ითხოვს, რომლის გაკეთების ყველა შესაძლებლობაც თავად ჰქონდა, მაგრამ არ გაუკეთებია და ამბობდა, რომ ამის გაკეთება არასწორი იყო.

— თუმცა, ნაციონალები შეცდომებს აღიარებენ და თქვენ მოგიწოდებენ, რომ მათ შეცდომებს ნუ გაიმეორებთ...

— ვცდილობთ, რომ ეს შეცდომები არ გავიმეოროთ, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოდის. ეს საქმე მარტივი არ არის. შეუძლებელია, ერთნაირი მიდგომების მიღწევა. თუკი კომპრომისები არ იქნა, შეთანხმების მიღწევა საყოფაცხოვრებო საკითხებზეც კი რთულია. ყოველთვის სწორი გადაწყვეტილება ვერ მიიღება. მაგალითად, მე რაც სწორად მიმაჩნია, იქნებ, იმას თქვენ არასწორად თვლით. ვერაფერს გავაკეთებთ, თუკი ვერ შევთანხმდით და, ეს, როგორც წესი, კომპრომისია. ეს ჩვეულებრივი მართვის სქემაა. მთავარია, მცდარი ნაბიჯი არ იქნას გადადგმული. შეიძლება, ნაბიჯი სრული არ არის, მაგრამ მთავარია, რომ სწორი მიმართულებით გადადგმულია.

— თქვენს მიერ მოყვანილი მაგალითები თქვენს ხელისუფლებას ყველაზე მეტად შეეფერება. კოალიციური მთავრობა ხართ და რიგ საკითხებზე პარტიული მიზნები, მისწრაფებები თუ ხედვები გაქვთ. „რესპუბლიკელები“ კოალიციურ შეთანხმებას ითხოვთ და როგორ ფიქრობთ, კომპრომისებით სიარულს შეძლებთ? თქვენთან მიმართებაში უმრავლესობის წევრებს ხომ სხვა მოსაზრებები აქვთ? საერთოდაც, ამ შეთანხმებაში რას გულისხმობთ?

— ყველას აქვს უფლება თავისი მოსაზრება ჰქონდეს, რომელიც მომწონს თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება შეთანხმებას, ვფიქრობ, რომ ასეთი შეთანხმება კოალიციურ რეჟიმში გადაწყვეტილებების მიღებას უფრო გააადვილებს. შეთანხმება ბევრ რაღაცას ითვალისწინებს, მათ შორის, როგორც პროგრამულ პრიორიტეტებს, ასევე გადაწყვეტილებათა შემუშავების და მიღწევის წესს.

— რასაც თქვენი მმართველობის სამი წლის მანძილზე პრობლემა ჰქონდა?

— ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის მცდელობა იყო, რომ მიღწეული ყოფილიყო შეთანხმება. ალბათ, დამეთანხმებით, რომ არის საკითხები, რომელთა თაობაზეც სრული შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია. ასეთ დროს როგორ უნდა მოვიქცეთ და გადაწყვეტილება როგორ უნდა მივიღოთ — თავი დავანებოთ თუ გადაწყვეტილების მიღწევა კენჭისყრით უნდა მოხდეს? — შეთანხმების საკითხები სწორედ ეს არის. დაზღვეული არავინ არის იმისგან, როცა რამდენიმე ადამიანი დავსხდებით და როცა ეს რამდენიმე პარტიაა, ყველა ერთ აზრზე არ აღმოჩნდეს, არადა, საკითხი გადაწყვეტია.

— ალბათ, ამ პროცესში გადამწყვეტი მაინც კვოტების რაოდენობაა. ყველას აინტერესებს, ახალ კოალიციურ შეთანხმებაში „რესპუბლიკური პარტიის“ ფასი რა იქნება. თქვენ რას ითხოვთ?

— ეს საკითხი მაშინ განიხილება, როცა ამ საკითხების გადასაწყვეტად ის სუბიექტები დასხდებიან, რომლებიც კოალიციაში ერთად ყოფნას აპირებენ. ამას რატომ ვამბობ? — შეიძლება, კოალიციაში ყოფნა ათ სუბიექტს სურდეს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებით, კოალიცია ოთხი-ხუთი სუბიექტისგან შედგეს. დრო სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ყველა საკითხი გადაიჭრას.

— ამ მოწვევის პარლამენტში თქვენი შრომით ერთ-ერთი გამორჩეული დეპუტატი ხართ. მომავალ პარლამენტში მუშაობის გაგრძელების სურვილი გაქვთ?

— ამისათვის უფრო მეტი დროა დარჩენილი, ვიდრე კოალიციის შექმნისთვის.

თეონა მანაგაძე

ინფორმაცია

გორის სოფლებში პირველად გაყავთ ასფალტიანი გზა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ლითანიშვილმა გორი-ქარელის გზის 6-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტი, რომელიც სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით ხორციელდება მოიცავს: გზის სავალ ნაწილზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას; რკინაბეტონის კიუვეტებისა და გაბიონების ქვედა საყრდენი კედლების, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელებისა და საგზაო ნიშნების მოწყობას; წყალგამტარი მილებისა და ბეტონის ღარების შეკეთებას. ასევე, გზის შემოფარგვლასა და ჰორიზონტალურ მონიშვნას.

ამ ეტაპზე, სარეაბილიტაციო მონაკვეთის 2 კმ-ზე უკვე დასრულებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები და გაბიონებისა და კიუვეტების მოწყობა დარჩენილ 4 კილომეტრზე მიმდინარეობს.

აღნიშნული მონაკვეთი ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების მჭიდროდ დასახლებულ სოფლებზე: ღვლებზე, ქვენაფლავსა და რიეთზე გადის, სადაც ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზა არასდროს ყოფილა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2015 წლის სექტემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება 1 მილიონ 744 ათასი ლარია.

ჩეხები საქართველოს ლუდის სახარშსა და ქარხანას აშენებენ

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმი გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში ორი ქვეყნის ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს შორის იგეგმება შეხვედრები ისეთ თემებზე, როგორებიცაა ლოჯისტიკა, გადაზიდვები, ქიმიური მრეწველობა, ენერგეტიკა და კავშირგაბმულობა.

როგორც ფორუმის ფარგლებში ჟურნალისტებს საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განუცხადა, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ჩეხეთის სავაჭრო პალატა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერენ ხელს.

„ჩვენ გვექნება საკმაოდ წარმატებული გარიგებები უკვე კერძო სექტორის მიმართულებით. არის დაინტერესება ლუდის სახარშის და ლუდის ქარხნის აშენების საქართველოში. ასევე, არის რამდენიმე დაინტერესება. ხელი მოეწერება ხელშეკრულებას საჰაერო ნავიგაციასა და ჩეხურ კომპანიას შორის, რომლისგანაც საჰაერო ნავიგაცია ყიდულობს ფრენების საკონტროლო-სარეზერვო სისტემას და შესაბამისად, ესეც შეემატება იმ აქტივს, რომელიც ჩვენ გვჭირდება“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

კრიზისის სათავე – კლანური სისტემა და ნეპოტიზმი

ნომრის სტუმარია ჯეიმსთაუნის ფონდის პოლიტიკური ანალიტიკოსი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ვასილ რუხაძე

– ბატონო ვასილ, რა მიგაჩნიათ დღეისთვის საქართველოს განვითარების ყველაზე დიდ დამაბრკოლებელ ფაქტორად?

– საქართველოს განვითარებას დღეს ძალიან ბევრი რამ აბრკოლებს, მხოლოდ ჩამოთვლასაც კი რამდენიმე გვერდი დასჭირდება. ყველა ამ ფაქტორიდან მე ერთ-ერთ ყველაზე დამანგრევლად ქართული კლანური სისტემა და შემდეგ მისგან მომავალი ნეპოტიზმი მიმაჩნია.

ამ შემთხვევაში კლანში ვგულისხმობ ოჯახურ-ნათესავური ან ახლო მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფს ან ჯგუფებს, რომელთაც საერთო ინტერესები ამოძრავებთ, კლანურ სისტემაში კი – ამ ჯგუფების ერთობლიობას, რომლებიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთგვარ ჩაკეტილ, მონოპოლისტურ წრეს ქმნიან და შესაბამისად, ყველა დანარჩენ მხარეს გზას უკეტავენ.

ქართული საზოგადოება ღრმად კლანური საზოგადოებაა, რომელსაც ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არაერთი ნიშან-თვისება აქვს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, ქართველი საზოგადოება, ერთგვარი ნეოფეოდალური საზოგადოება ვართ, სადაც პროფესიული ურთიერთობებისას სისხლით ნათესავობა, მეგობრული კავშირები ან ნაცნობობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული პროფესიული საქმის ინტერესები. ამიტომ არის, რომ უმეტეს შემთხვევაში, როდესაც არჩევანი ნიჭიერ, მაღალკვალიფიციურ უცნობსა და უნიჭო, დაბალკვალიფიციურ ნათესავს, მეგობარს ან ნაცნობს შორის დგება, ქართველი დამქირავებლების უმრავლესობა სწორედ მეორეს არჩევს იმ ნათესავურ-მეგობრული ეგრეთ წოდებული ვალდებულებიდან გამომდინარე, რომელსაც ის წმინდათა წმინდად მიიჩნევს. შედეგად ვიღებთ არაეფექტურ და არაპროფესიონალურ სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებს, უწყებებს, ინსტიტუტებს და კომპანიებს, რომლებსაც ძირითადი ფუნქციების შესრულებაც კი უჭირთ.

მეგობრულ-ნათესავური კავშირების ან ელემენტალური ნაცნობობის გარეშე დღეს რიგით ქართველს არათუ მაღალპროფესიული სამსახურის პოვნა, არამედ ბენზინგასამართ სადგურზე საწვავის ჩამსხმელად ან მაღაზიაში გამყიდველად ადგილის პოვნაც კი უჭირს. საქართველოს კლანური სისტემა ქვეყანაში კლავს უზარმაზარ შემოქმედებით პოტენციას, რადგან ათეულ ათასობით ნიჭიერ, ენერგიულ ქართველ ახალგაზრდას საშუალებას არ აძლევს, დაიკავოს ის მაღალპროფესიული სამუშაო ადგილები, რომელთაც თავისუფალი, პატიოსანი კონკურენციის პირობებში აუცილებლად დაიკავებდა.

ავიღოთ თუნდაც ჩვენში საქმიანი ტენდერების ჩატარების მთელი პროცესი. საუბედუროდ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად პროგრესული და საინტერესოა ტენდერში მონაწილე ამა თუ იმ ბიზნესდაწესებულების ან ორგანიზაციის გეგმა-პროექტი. უმეტეს შემთხვევაში, თითქმის წარმოუდგენელია, რომ ტენდერში მონაწილე ორგანიზაციამ გაიმარჯვოს თუ ის ტენდერის ჩამტარებელ კლანთან (ან კლანებთან) რაიმე სახით არ არის დაკავშირებული. რა თქმა უნდა, აქ გარკვეულ როლს კორუფციის ფენომენიც ასრულებს, მაგრამ მთავარი როლს მაინც კლანური სისტემა თამაშობს.

რა თქმა უნდა, ჩვენში კლანურობა და მისი გავლენა დასაქმებისა და ტენდერების ჩატარების სფეროს ბევრად სცდება. დღეს საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების არც ერთი სფერო, მათ შორის – პოლიტიკური პარტიების, ფინანსური დაწესებულებების, ხელოვნების წრეების და მედიასაშუალებების უდიდესი ნაწილი, მთლიანად მონოპოლიზებული რომ არ იყოს ამა თუ იმ კლანის ან კლანების მიერ.

შესაბამისად, საქართველოში თითქმის არ არსებობს, რასაც დასავლეთში „სოციალურ მობილურობას“ (social mobility) უწოდებენ, რაც ნიშნავს, რომ ღარიბმა, დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსულმა ადამიანმა დიდ პროფესიულ წარმატებას ან მატერიალურ კეთილდღეობას, შესაძლებელია, საკუთარი ნიჭის და შრომის ფასად მიაღწიოს და საზოგადოების სოციალურ კიბეზე თუნდაც ერთი საფეხურით აინაცვლოს. საქართველოს სინამდვილეში ამგვარი წარმატების შემთხვევები ძალიან იშვიათია. უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ვთქვათ, ქართველი მძღოლის ან ავტომობილის შემკეთებლის ოჯახში დაბადებული ადამიანი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ თავადაც იგივე პროფესიას გაჰყვება, რადგან საქართველოს კლანური სისტემა მას სხვა არჩევანისა და წინსვლის საშუალებას არ აძლევს.

ბუნებრივია, ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აფერხებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას. გადაუჭარბებლად შეიძლება, ითქვას, რომ ქართული კლანური სისტემა, რომელიც შემდგომ ნეპოტიზმს იწვევს, არის მარადიული ქართული კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.

– მიიჩნევთ, რომ კლანური სისტემა ჩვენი ქვეყნის სტაგნაციაში ასეთ მნიშვნელოვან, მძლავრ როლს თამაშობს?

– რა თქმა უნდა. საზოგადოების კლანური სისტემა და უშუალოდ კლანი არათუ არ არის დაინტერესებული პროგრესით, განვითარებით, არამედ მძაფრად ეწინააღმდეგება ყოველგვარ სიახლეს, რადგან სიახლეს გაურკვევლობა და არსებული, დამყაყებული სოციალური წესრიგის (რომელიც ხშირად უწესრიგობა უფროა) ცვლილების საფრთხე მოაქვს. კლანს უყვარს ჭაობი, უძრავობა, რომელიც სტატუს-ქვოს საფრთხეს არ უქმნის. თუმცა, მოსაჩვენებლად გავლენიანი კლანები ყოველთვის ახალ იდეებზე, პროგრესზე და მაღალ იდეალებზე საუბრობენ, რათა ქვეყანაში ცვლილებებისა და განვითარების ილუზია შექმნან.

კლანური სისტემა და კლანები ასევე მძაფრად უფრთხიან ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ სისტემაში ახალი ადამიანების გამოჩენას. თუ ვინმე ახალი პიროვნება გამოჩნდა, ის მხოლოდ კლანის წევრი უნდა იყოს, ან კლანის თანხმობით და მისი კონტროლის ქვეშ უნდა გამოვიდეს ასპარეზზე. მინდა, ყურადღება მივაპყრო იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე საქართველოში არ მომხდარა, რასაც დასავლეთში „ელიტების ცვლილებას“ (elite change) უწოდებენ. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ქვეყანას ან ყოფილი კომუნისტური ნომენკლატურის წევრები, ან უშუალოდ მათი შვილები და შვილიშვილები მართავენ. ამ შემთხვევაში ქართული კლანები საოცრად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ. საუბედუროდ, მათი სიცოცხლისუნარიანობა ქვეყანას ნგრევად და შემდეგ მრავალწლიან სტაგნაციად დაუჯდა.

ასევე მინდა, მკითხველის ყურადღება მივაპყრო ქართული ეგრეთ წოდებული პოლიტიკური პარტიების სტრუქტურას. ჩვენში პოლიტიკური პარტიების უდიდესი ნაწილი სინამდვილეში კლანური დაჯგუფებებია. თითოეულ ამ ფსევდოპარტიას სათავეში უდგას ადამიანთა მცირე ჯგუფი (ზოგ შემთხვევაში – სულ სამი-ოთხი ადამიანი), რომლებიც მას ათწლეულების მანძილზე უძღვებიან. ქართულ სინამდვილეში თითქმის შეუძლებელია, რომ პარტიაში გარედან მისულმა ადამიანმა მის იერარქიულ კიბეზე რაიმე კარიერულ წარმატებას მიაღწიოს და სერიოზულ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდეს. ამის საშუალებას უბრალოდ პარტიის მეგობრულ-ნათესავურ ურთიერთობებზე დამყარებული კლანური სისტემა არ აძლევს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე აგერ უკვე ათწლეულებია, თითქმის მთლიანად ერთი და იგივე ადამიანები ფიგურირებენ, რომელთაც ქვეყნისთვის ახლის არაფერი შეთავაზება ძალუძთ.

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲤᲔᲠᲝ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ – ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲘᲐᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲙᲚᲐᲜᲘᲡ ᲐᲜ ᲙᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ.

– რას თვლით საქართველოში კლანური სისტემის ასეთი სიმძლავრის მიზეზად?

– ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემას სოციოლოგების, ისტორიკოსებისა და ფსიქოლოგების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფის ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება. მე აქ მხოლოდ ვეცდები, ჩემი მოსაზრება გადმოვცე.

პირველ რიგში, მსურს, ხაზი გავუსვა, რომ საქართველოს კლანური სისტემა არამც და არამც არ არის ჩვენი ეროვნული ტრადიციების და ეროვნული კულტურის ნაწილი, როგორც ამას ბევრი მცდარად ფიქრობს. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ეს არის საზოგადოებრივი მანკიერება, რომელსაც არც ჩვენი და არც რომელიმე სხვა ერის და ქვეყნის კულტურასთან და ტრადიციებთან აქვს რაიმე საერთო.

ასევე არ ვიზიარებ მოსაზრებას, თითქოს კლანები და კლანური სისტემა მცირერიცხოვანი ერებისათვის დამახასიათებელი ფენომენია. ასე რომ იყოს, დანიელი, შვედი და ჰოლანდიელი ხალხები მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კლანური საზოგადოებები უნდა იყვნენ. როგორც ყველამ კარგად ვუწყით, ეს ასე სრულიადაც არ არის.

ჩემი აზრით, საქართველოში კლანების და კლანური სისტემის ასეთი სიმძლავრე სამმა მთავარმა ფაქტორმა გამოიწვია. მათგან, პირველ რიგში, გამოვყოფდი ჩვენი, როგორც ერისა და ქვეყნის ხანგრძლივ პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ იზოლაციას მსოფლიოს განვითარებული საზოგადოებებისაგან რუსული (ცარისტული და საბჭოთა) ოკუპაციის და მანამდე ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობის შედეგად. ამ იზოლაციის გამო საქართველომ, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მე-20 საუკუნემდე, გამოტოვა სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ის უზარმაზარი და უმნიშვნელოვანესი პროცესები, რომლებმაც დასავლეთში ფეოდალურ და შედეგად კლანურ სისტემას და კლანურ ურთიერთობებს გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა. შესაბამისად, საქართველოში კლანური სისტემის მახინჯი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები მთლიანად არასოდეს აღმოფხვრილა. აქედან გამომდინარე, ქართველი საზოგადოება დღეისათვის ერთგვარად ნეოფეოდალური საზოგადოებაა.

მეორე ფაქტორი გახლავთ კლანური სისტემის, როგორც თავდაცვითი მექანიზმის გამოყენება საგარეო ოკუპაციის პირობებში. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მე-20 საუკუნემდე საქართველო თითქმის მუდმივად ოკუპაციის ქვეშ ცხოვრობდა. ასეთ პირობებში ოჯახურ-ნათესავურ და მეგობრულ კავშირებზე დამყარებული კლანური სისტემა დამპყრობლის წინააღმდეგ ერთგვარი თავდაცვის, ეროვნული თვითიდენტიფიკაციის და თვით პიროვნული თვითდამკვიდრების მექანიზმის როლს ასრულებდა. თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კლანი და კლანური სისტემა დადებითი მოვლენაა ან მისი აღმოფხვრა შეუძლებელია, რაკი მას ასეთი ხანგრძლივი ისტორიული საფუძვლები აქვს.

საქართველოში კლანური სისტემის სიმძლავრის მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ კომუნისტური ეპოქის დროს დანაშაულებრივი სამყაროს და საერთოდ ეგრეთ წოდებული „ ქურდული მენტალიტეტის“ და „ქუჩის კულტურის“ სიმძლავრე. კრიმინალური სამყარო მთლიანად კლანებს და კლანურ სისტემას ემყარება, სადაც საუბრობენ, რაც ახშობს სხვა, უფრო საინტერესო და პრობლემატურ თემებს და შედეგად ისევ და ისევ ვიღებთ სტაგნაციას. ᲕᲬᲘᲓᲠᲝᲑ, ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲡᲔ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲪᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲤᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲮᲢᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲐ. ᲫᲜᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲓᲒᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲝᲗᲮ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜ ᲔᲠᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲡᲢᲣᲓᲘᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲡᲐᲬᲕᲔᲕᲐᲓ.

– რას თვლით საქართველოში კლანური სისტემის ასეთი სიმძლავრის მიზეზად?

– ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემას სოციოლოგების, ისტორიკოსებისა და ფსიქოლოგების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფის ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება. მე აქ მხოლოდ ვეცდები, ჩემი მოსაზრება გადმოვცე.

ერთო ინტერესების ირგვლივ გაერთიანებული დაჯგუფებები მძლავრ სინდიკატებს ქმნიან. ამგვარ სინდიკატებში ნებისმიერი სახის წარმატება დანაშაულებრივ კლანთან კავშირისა და სიახლოვის ხარისხით განისაზღვრება.

საუბედუროდ, კომუნისტური ეპოქის დროს წარმოქმნილი დანაშაულებრივი კლანების სისტემამ პოსტ-საბჭოთა საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში თითქმის ხელუხლებლად გადმოინაცვლა. შეიძლება ითქვას, რომ ის კლანები, რომლებიც დღეს საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას აკონტროლებენ, თვისობრივად და სტრუქტურულად თითქმის არაფრით განსხვავდებიან კომუნისტური ეპოქის დროინდელი კრიმინალური კლანებისაგან.

— თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში ასეთი მძლავრი კლანური სისტემის აღმოფხვრა შესაძლებელია? და თუ ასე ფიქრობთ, როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

— არ არსებობს ისეთი მანკიერება, რომლის აღმოფხვრა შეუძლებელი იყოს, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად ფესვგადგმულია ის საზოგადოებაში. საქართველოში კლანური სისტემის და შესაბამისად, ნეპოტიზმის დამარცხებისაკენ უპირველეს ნაბიჯად მესახება ყველა სახის სახელმწიფო დაწესებულებაში დასაქმებულთა მიერ საკუთარი ოჯახის წევრების, ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების დანიშვნა-დასაქმების კანონის ძალით აკრძალვა და შესაბამისად, ამგვარი პრაქტიკის სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადება.

თუკი ვინმეს ეს ღონისძიება რადიკალურად ეჩვენება, მინდა, აღვნიშნო, რომ სხვადასხვა საზოგადოებებს გაცილებით უფრო რადიკალური კანონები და ზომები მიუღიათ, რათა დაემარცხებინათ დიდი და მცირე მანკიერებები, მათ შორის — მექრთამეობა, ქუჩის კრიმინალური კულტურა, ან თავად დანაშაულებრივი სამყაროს ძლიერება.

ასევე რთული არ იქნება იმის აღმოჩენა, გარკვეული სახელმწიფო მოხელის მიერ საკუთარ უწყებაში ახლად დასაქმებული პირი არის თუ არა მასთან ოჯახურ-ნათესავური ან მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული და თუ მიიღო მან რაიმე სახის მონაწილეობა ამ პირის მოცემულ უწყებაში დასაქმებაში. კრიმინალისტიკის განვითარების დღევანდელ პირობებში მსგავსი საკითხების გარკვევა უკვე არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ასევე აბსოლუტურად აუცილებელია, რომ ყველა სახის სახელმწიფო დაწესებულებაში პიროვნების დასაქმება ნებისმიერი სახისა და საფეხურის თანამდებობაზე დაექვემდებაროს საფუძვლიან ტესტირებაგამოცდებს, რომელიც გახდება ადამიანის პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენის უმთავრესი საშუალება და შემდგომ მის პროფესიულ სამსახურში აყვანის ძირითადი კრიტერიუმი.

ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ქართველი საზოგადოება გახდეს მთლიანად მერიტოკრატიული საზოგადოება, ანუ საზოგადოება, სადაც ადამიანის პროფესიული დასაქმება და წარმატება მხოლოდ და მხოლოდ მის ნიჭზე, გონებრივ შესაძლებლობებზე და გამოცდილებაზე იქნება დამოკიდებული და არა რომელიმე დიდ თუ მცირე კლანთან სიახლოვეზე.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამის თქმა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე განხორციელება, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს. ქართული კლანური სისტემა მარადიული ქართული ჩამორჩენილობისა და კრიზისის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად იქცა. თუ გვსურს, რომ ჩვენი საუკუნოვანი ჩამორჩენილობა დავძლიოთ, ეს მახინჯი სისტემა ნებისმიერი საშუალებით უნდა დავამარცხოთ და უნდა დავამარცხოთ რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება საფუძვლიანად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ როგორც 21-ე საუკუნის საზოგადოებას მომავალი არ გვაქვს და შესაბამისად, ნუღარც ის გაგვიკვირდება, თუ რატომ ვცხოვრობთ ასეთ ღარიბ, დაბალგანვითარეულ და ხშირად უსამართლო ქვეყანაში, სადაც რიგითი ადამიანისათვის არსებობა უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდება.

საგენტო „აქცენტი“.

რედაქციისგან: მკითხველს ვთხოვთ, საკუთარი მოსაზრებები გაგვიზიაროს ვასილ რუხაძის ამ ფრიად სუბიექტურ შეხედულებებზე. მოგვწერეთ, ვიკამათოთ...

◎ ზრდის პერსპექტივა

ციფრების მაგია და რეალური ეკონომიკა

ეკონომიკური განვითარების შარშანდელი ტემპი მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში აშკარად არასახარბიელო იყო, თანაც ზოგიერთ მათგანში, სულაც, უარყოფითი შედეგი დაფიქსირდა, აღნიშნულია მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „გლობალური ეკონომიკის პერსპექტივები“.

ახალი ანგარიშის ავტორთა აზრით, წლეულს მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს დიდ განვითარებად ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მცირე მატება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ გლობალური ეკონომიკური ზრდის ტემპი 2016 წლის მიწურულს 2,9-პროცენტიან ნიშნულს მიაღწევს. ამასთან, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ამ დონის მიღწევა, უმეტესწილად, მოწინავე ქვეყნების მძლავრი ეკონომიკების ხარჯზე მოხდება. ეკონომიკური ზრდის შარშანდელ 2,4-პროცენტიან მსოფლიო მაჩვენებელთან შედარებით ეს ნამდვილად სასიკეთო ძვრაა. ბუნებრივია, რომ გლობალური ეკონომიკის განვითარების შენელების გათვალისწინებით, მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური, საიმიგრაციო და კიდევ მრავალი სხვა ფაქტორის მძლავრი ზეგავლენის პირობებში, ექსპერტები შიშობენ, რომ ყველაფერი ეს უაღრესად უარყოფითად აისახება მსოფლიოში სიღარიბის დონის დაძლევაზე.

— მსოფლიოს ღარიბი მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს, სადაც 2015 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელდა, — აღნიშნავს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი **ჯიმ იუნ კიმი** ანგარიშის შესავალ ნაწილში. — ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პირობებში საჭიროა განვითარებადმა ქვეყნებმა ყურადღება გაამახვილონ ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გზებსა და მოსახლეობის უღარიბესი ფენების სოციალურ დაცვაზე. მმართველობის სფეროს რეფორმირებამ და სამეწარმეო საქმიანობის წარმართვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნამ, შესაძლოა, უზრუნველყოს დადებითი შედეგი და ამით მოწინავე ეკონომიკების ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი დაბალანსოს.

მსოფლიო ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები, რაღა თქმა უნდა, სპეციალისტების ყურადღების ცენტრშია, მაგრამ, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ ამ მხრივ საქართველოსთან მიმართებაში გამოთქმული მოსაზრებები უფრო გვაინტერესებს. ამასთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკის ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ 2014 წლის 4,8-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის შემდეგ, შარშანდელი 2,5-პროცენტიანი მაჩვენებელი, ცხადია, მნიშვნელოვანი ჩავარდნაა. თუმცა კი, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ესაა წინასწარი მონაცემები, რადგან სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შარშანდელი მონაცემები ჯერჯერობით სრულად არ დაუმუშავებია, საბოლოო შედეგს დაახლოებით მაისში უნდა ველოდოთ, ამდენად კორექტივები სავსებით შესაძლებელია. ეს რომ ასეა, ამას თუნდაც შარშანდელი 11 თვის მონაცემები მოწმობს, რომელთა თანახმად საშუალო რეალური ზრდა 3 პროცენტი იყო.

ავტორიტეტული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ანგარიშის ავტორთა პროგნოზით, წლეულს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 3 პროცენტს გაუტოლდება, გაისად 4,5 პროცენტს, მერმის კი 5 პროცენტს შეადგენს.

ზოგადად თუ ვიტყვით, წლეულს გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი აჩქარების იმედები მსოფლიო ბანკის ექსპერტებს ნაკლებად აქვთ მრავალი მიზეზის გამო. ჩვენში (მთლიანად რეგიონში — საქართველოში, აზერბაიჯანში) ერთ-ერთი ასეთი მძლავრი უარყოფითი ფაქტორია დოლარის ეროვნული ვალუტების მიმართ გამყარება, რისი კონკრეტული შედეგია ფინანსური ვალდებულებების მომსახურების გაძვირება, რაც სამეწარმეო საქმიანობას ზიანს აყენებს. ეს კი, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება ქვეყანაში ეკონომიკურ სიტუაციაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, ინვესტიციების შემოდინებასა და ა. შ. თანაც, როგორც განვლილი წლების პრაქტიკა მოწმობს, ბევრჯერ ყოფილა ისე, რომ წლის დასაწყისში გაკეთებული ოპტიმისტური ეკონომიკური პროგნოზები შეცვლილა, რისი მიზეზები ხშირად ეკონომიკის სფეროს სცილდება.

ამასთან, რაოდენ რეალისტურიც უნდა იყოს მსოფლიო ბანკის სპეციალისტების მიერ 2018 წლისთვის ნავარაუდევი ეროვნული ეკონომიკის 5-პროცენტიანი ზრდა, ეს, არსებითად, ქვეყანაში ეკონომიკის დიდი აღმავლობის მაჩვენებელი მაინც არ იქნება, **იმიტომ, რომ თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების დონემდე მისასვლელად საჭიროა ამ მაჩვენებლის გაორმაგება, რისი პოტენციალი, სპეციალისტების აზრით, საქართველოს ნამდვილად აქვს.** ამდენად, მარტო ციფრების მაგია რეალურ ეკონომიკურ ვითარებაზე მაინცდამაინც საგრძნობ ზეგავლენას ვერ მოახდენს.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით მსოფლიო ბანკის ახალ ანგარიშში ასახულ საქართველოს უახლოეს სამეზობლოში მთლიანი შიდა პროდუქტის მატების მხრივ გამოთქმული პროგნოზების შესახებ მოგახსენებთ. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, 2018 წლისთვის, როცა სამამულო ეკონომიკის ზრდამ 5-პროცენტიან ნიშნულს უნდა მიაღწიოს, **აზერბაიჯანის** ეკონომიკა 2,7 პროცენტით, **სომხეთისა** კი 3 პროცენტით გაიზრდება. მცირე, მაგრამ მაინც აღმავლობას უწინასწარმეტყველებენ სპეციალისტები ამ დროისთვის **რუსეთის** ეკონომიკასაც, სადაც ეს მატება 1,5 პროცენტს შეადგენს, რაც წლეულს ნავარაუდევი — 0,7-პროცენტიანი კლების ვარაუდის გათვალისწინებით, უდავოდ მეტად მნიშვნელოვანი წინსვლა იქნება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ მსოფლიო ფინანსები

არა მხოლოდ ჩინეთისა და ამერიკაში...

„მსოფლიოში ცუდი სესხები ტვირთად აწევს გლობალურ ეკონომიკურ ზრდას“. ამ სათაურით აქვეყნებს გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ სტატიას, რომლის ავტორი პიტერ ევისი წერს:

„გლობალური ფინანსური სისტემის შიგნით არსებობს მრავალტრილიონნიანი დოლარის პრობლემა, რომელიც ძალას აცლის მსხვილი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს და ეს შეიძლება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდეს.

პრობლემა გიგანტური მასშტაბისაა. ესაა ჭაობი დამძიმებული სესხებისა, რომელთა გასტუმრებასაც თითქმის ამაოდ ცდილობენ კომპანიები და ფიზიკური პირები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ცუდი სესხები სერიოზულად აფერხებს ეკონომიკურ აქტივობას 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ. მაგრამ ამ მხრივ ვითარება განსაკუთრებით გაუარესდა უკანასკნელ თვეებში. ჩინეთი გახდა უდიდესი საზრუნავი და შეშფოთების მიზეზი. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ჩინეთის ცუდი სესხების ჯამური რაოდენობა 5 ტრილიონ დოლარს აღემატება. ეს ციფრი კატასტროფულად გამოიყურება თუკი გავითვალისწინებთ, რომ მოყვანილი მონაცემი შეადგენს ქვეყნის წლიური ეკონომიკური პროდუქტის ნახევარს.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ჩინურმა ბანკებმა გასულ დეკემბერს შეწყვიტეს სესხების გაცემა. ეს ტენდენცია თუ გაგრძელდა, მაშინ ჩინეთის ეკონომიკა, რომელიც მსოფლიოს სიდიდით მეორეა შეერთებული შტატების შემდეგ, კიდევ უფრო მეტად შეანელებს თავის ზრდას. ცხადია, ეს ცუდად დაეტყობა მრავალ ქვეყანას, რომელიც წლების განმავლობაში ეყრდნობოდა ჩინეთის ეკონომიკურ ზრდას.

მაგრამ, მხოლოდ ჩინეთში არაა საქმე. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც კი მთავრობებმა და ცენტრალურმა ბანკებმა ხელი მიჰყვეს აგრესიული ზრდის პოლიტიკას ბოლო წლებში, გაცემული ცუდი სესხების სიმძიმე უკვე ჩვეულ მოვლენად იქცა. შეერთებულ შტატებში დიდი დრო დასჭირდა გაცემული იპოთეკური სესხების შედეგად მასიური დეფოლტების პრობლემის მოგვარებას, თუმცა, ყველაფერი დაიწყო საცხოვრებელი მშენებლობის ბუმით. ასევე უნდა აღინიშნოს ის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რომელშიც ენერგეტიკული კომპანიები აღმოჩნდნენ ფიქალის ნავთობში დაბანდებული ნასესხები კაპიტალის დაბანდების შედეგად. თუმცა, აქაც ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ბანკები ხსენებულ ენერგო-კომპანიებს საკმაოდ ადვილად აძლევდნენ სესხებს“.

სტატიაში ვკითხულობთ:

„ექსპერტების თანახმად, ევროპაში ცუდმა სესხებმა ჯამურად ერთ ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ბევრი ევროპული ბანკის მუშაობაა შეფერხებული გაცემული პრობლემატური სესხების, გახშირებული დეფოლტების გამო. ცხადია, ასეთ ვითარებაში მეტად ძნელია ევროპის ეკონომიკის რეფორმირება. მაგალითად, გასულ კვირას იტალიამ განაცხადა, რომ საკუთარ საბანკო სისტემას გაათავისუფლებს ცუდი სესხების ტვირთისგან.

სულ უფრო მზარდია ბრაზილიის ბანკებისთვის გაცემული ცუდი სესხების სიმძიმე. ქვეყნის ეკონომიკა ცდილობს, გაუმკლავდეს პრობლემებს, რომლებიც მოჰყვა თავის დროზე მასიურად გაცემულ კრედიტებს.

ლონდონში ერთ-ერთი ბანკირის თქმით, ეკონომიკური დანაკარგები ჩვეულებრივად მოჰყვება დაწყებულ ბუმსა და შემდგომში კრიზისს. შეგიძლია მხოლოდ იმედოვნებდე, რომ ერთ დღეს დანაკარგები მოგებად იქცევა. წინაალმდეგ შემთხვევაში, ეკონომიკას ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად დააწვება.

ხელსაყრელ ეკონომიკურ ვითარებაში, კომპანიები და ხალხი დიდი რაოდენობით თანხებს სესხულობენ, ხშირად საკმაოდ შეღავათიანი პირობებით, რათა შეიძინონ პროდუქცია, ნივთები და მომსახურება. მაგრამ, როცა ეკონომიკა შენელებას განიცდის, აღებული სესხების დაფარვა ძნელდება ბევრი მსესხებლისთვის. რაც უფრო მზარდი იყო მანამდე ეკონომიკა, მით უფრო მეტი სესხები ჰქონდათ აღებული და ბუნებრივია, შემდგომში, ეკონომიკური დაღმავლობის დროს, სესხების გასტუმრება გაძნელებული ხდება“...

გიორგი ჩხუბიანიშვილი,
საერთაშორისო მიმომხილველი

„ნიუ-იორკ თაიმსი“: ცუდი სესხები ტვირთად აწევს გლობალურ ეკონომიკურ ზრდას

დემოკრატია და სახელმწიფოს მართვა

ანუ როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა შესაცვლელი, ასევე შესაცვლელია ხელისუფლებისთვის ბრძოლის ფორმები

იმატა თუ არა დემოკრატიამ ზოგადად მსოფლიოში წინა პერიოდთან, ვთქვათ, 50-100 წლის წინათ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით?

ამ კითხვაზე მეტ-ნაკლებად სწორი პასუხის გასაცემად აუცილებელია გავიხსენოთ, თუ რა იგულისხმება დემოკრატიაში. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, რომ „დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა“ ყურისთვის სასიამოვნო მოსასმენი კი არის, მაგრამ მთლად გასაგები არაა, გარკვევით ბევრს არაფერს გვეუბნება. უფრო გავრცობილად – დემოკრატია სახელმწიფოს ისეთი მართვაა, რომლის დროსაც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ხალხი ახორციელებს უშუალოდ (პირდაპირი დემოკრატია) ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით (წარმომადგენლობითი დემოკრატია). უფრო მარტივად: დემოკრატია, ანუ დემოკრატიული წყობა მმართველობის ისეთი ფორმაა, როდესაც ხალხს უფრო მეტად უგდებენ ყურს, ვიდრე სხვა ფორმების დროს. ხალხის განწყობის, მოთხოვნების გამოსავლენ-დასაზუსტებლად მოფიქრებულია სხვადასხვა ტიპის გამოკითხვები, პლებისციტები და რეფერენდუმები. თითქოს, ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს, აკი ამბობენ კიდეც, რომ საპარლამენტო მმართველობაზე უკეთესი დღემდე არავის არ მოუგონიაო!

<u>წარმომადგენლობითი დემოკრატია ნამდვილად შესანიშნავია, ოღონდ... ქაღალდზე!</u> სამწუხაროდ, ყველაფერი ისე არ არის, როგორც გვიხატავენ. უსმენენ კი ეს „რჩეულები“ თავიანთ ამომრჩევლებს? თუ, მაინც თავის ჭკუაზე ჭრიან და კერავენ? თუმცა, რად უნდა ამას კითხვების დასმა, განა არ ვიცით, რომ ხალხის აზრს ისინი მაშინ ისმენენ, როცა მათ აწყობთ, და რეფერენდუმებსაც როცა სურთ, მაშინ ატარებენ. ხოლო, როცა ამის სურვილი არა აქვთ, თუნდაც მილიონობით პროტესტანტი გამოვიდეს ქუჩებში, თუნდაც მასობრივი შიმშილობა დაიწყონ და თავიც მოიკლან, დაიწვან(!) პროტესტის ნიშნად, ყურს არავინ ათხოვებს. ასე ხდება არა მარტო დიქტატორული რეჟიმების შემთხვევაში, არამედ, დემოკრატიულად აღიარებულ ევროპულ სახელმწიფოებშიც. პროტესტანტ ხალხს ყველგან, ორივე ტიპის სახელმწიფოებში ძალისმიერი მეთოდებით უსწორდებიან, განსხვავება მხოლოდ დარბევის სისასტიკის ხარისხშია (რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს, ერთადერთი სახელმწიფო, სადაც მართლაც შეისმენდნენ ხალხის აზრს, სადაც ჭეშმარიტად დემოკრატიული მმართველობის არაჩვეულებრივად კარგი სისტემა ჰქონდათ შემუშავებული, ეს დიქტატორ კადაფის ლიბია იყო, და ლიბიელი ხალხიც 2011 წლამდე, ფაქტიურად, კომუნიზმის პირობებში ცხოვრობდა.

რაც მთავარია, **<u>ვირჩევთ კი რჩეულებს? სამწუხაროდ, არა!</u>** გაუყალბებელი არჩევნების ჩატარების შემთხვევაშიც კი (ანუ მაჭავარიან-გოგორიშვილ-თარხნიშვილ-ხიდაშელების მეთოდების გარეშე!) ხალხის გულშემატკივარი პიროვნებებით პარლამენტის და, შესაბამისად, მთავრობის დაკომპლექტება ნაკლებად ხერხდება, რადგანაც სამართლიანი საარჩევნო გარემო, რეალურად, არსად არ იქმნება, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე არცერთი მმართველი ძალა უარს არასოდეს არ ამბობს. აბსოლუტურად ყველა პარტია (ჩვენ მაგალითზე: მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება) ხელისუფლებაში მოსვლამდე სამართლიანობის დამყარების დაპირებებით აბრუებს ხალხს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კი ივიწყებს უმთავრეს დაპირებებს და ამომრჩეველს გაწბილებულს ტოვებს. ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნებას ყველანაირად, კანონიერი და უკანონო გზებითაც ცდილობს და ამას ახერხებს კიდეც მანამ, სანამ მას თავად მომყვანი ძალა არ მოსთხოვს ჩაჩოჩებას. მომყვან ძალაში ხალხი რომ არ იგულისხმება, ამის დასადასტურებლად შორს წასვლა არ გვჭირდება – მარტო ჩვენი და უკრაინის პარლამენტ-მთავრობების დაკომპლექტების მაგალითებიც კმარა (კიევის მაიდანზე „პერაშკების“ დამრიგებელი ვიქტორია ნულანდ–ამერიკელი ელჩების მეთოდებით!).

ხშირად გვესმის, რომ პროფესიონალები გვაკლია ყველა სფეროში, რაც განსაკუთრებით საგრძნობია პარლამენტ-მთავრობაში, პროკურატურა-სასამართლოებში. არადა, სწორედ ხელისუფლებაში უნდა იყვნენ საუკეთესო, ნარჩევ-ნარჩევი კადრები. რატომ ხდება ასე უკუღმართად? საქმე შემდეგშია – ხალხმა რომ აგირჩიოს, მან ჯერ უნდა გაგიცნოს (პარტიულ სიებში შეტანილების 90%-ს კი ამომრჩეველი არ იცნობს). როგორ ხდება ეს დღეს? ცხადია, უპირველესად ტელევიზიის საშუალებით. ვის ხელეწიფება გამოსვლა და საკუთარი აზრის გამოთქმა ამა თუ იმ პრობლემაზე, ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ მიმდინარე პროცესებზე? ცხადია, მხოლოდ იმას, ვის მიწვევასაც გადაწყვეტს ხელმძღვანელობა, ანუ ის, ვის მფლობელობაშიცაა არსებული ტელევიზია, ვინც აკომპლექტებს მის შემადგენლობას და განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსს. და, რაც მთავარია, გაცნობაც არის და გაცნობაც – გააჩნია, ვის როგორ წარმოაჩენს, რა კომენტარს გააკეთებს წამყვანი, ანუ გამომსვლელს ტექნიკურად „მოთხრის“ თუ „გააპიარებს“. დღეს, პიარტექნოლოგიები ისეა დახვეწილი, რომ თეთრის შავად და შავის თეთრად წარმოჩენა აღარ წარმოადგენს დიდ პრობლემას. ანდა, როგორ უნდა წარმოადგენდეს, როცა მოსახლეობის ტვინების გამოსარეცხ უმთავრეს მეთოდად **<u>ყველა(!) წამყვანი ტელევიზიის მიერ მსოფლიოში გებელსის ცნობილი გამონათქვამია ატაცებული: „ათასჯერ ნათქვამი ტყუილი სიმართლედ იქცევა“.</u>** ახლა წარმოიდგინეთ პატიოსანი კანონმორჩილი ადამიანი, რომელიც, პრაქტიკულად, ყველა ტელეარხზე ერთი და იმავე სახეებს უყურებს ყოველდღე, ერთი და იმავე ინფორმაციას და ანალიზს ისმენს. ნურც ასეთი ტელეგადაცემების უმთავრესი ხერხი დაგვავიწყდება – მოწოდებულ ინფორმაციაში ისეა არეული ტყუილ-მართალი, რომ პოლიტიკაში კარგად ჩახედული კაცისთვისაც არ იყოს ადვილი მათი ერთიმეორისგან გარჩევა! ტელემაყურებელს არაფერი რჩება გარდა იმისა, რომ ირწმუნოს მიწოდებული ინფორმაცია! მისი ლოგიკური მსჯელობა დაახლოებით ასეთია: როგორ შეიძლება ყველა იტყუებოდეს, ამას როგორ იკადრებენ ისეთი წამყვანი და დემოკრატიული სახელმწიფოების ტელევიზიები, როგორებიცაა ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და სხვები, ისინი ხომ „რუსთავი-2“-ვით სულგაყიდულები არ არიანო. ვითომ, რატომაც არა! განა მოზრდილი ხელფასი მხოლოდ ქართველებს აცვლევინებს პრინციპებს?! განა ფულის ძალა გეოგრაფიის მიხედვით იცვლება? ხომ ვიცით, რომ ის, „რაც ფულზე არ იყიდება, მისი ყიდვა დიდი ფულით (უბრალოდ, კარგი ანაზღაურებით) შეიძლება“!

მაშ სად არის გამოსავალი? აუცილებელი პირობაა: მართალი, ეროვნული, ძლიერი და ყურებადი ტელემაუწყებლობა. ამას ყველაფერს დიდი ფული სჭირდება, რაც წესიერ ადამიანს ნაკლებად აქვს, ან თუ აქვს, ის მაინც არასაკმარისია კონკურენციისთვის. როდესაც ვერც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, პირველ რიგში, ტელევიზიებით, ვერც ფულადი სახსრებით და, ცხადია, ვერც ადმინისტრაციული რესურსებით მმართველ ძალას კონკურენციას ვერ გაუწევ და, როცა, ყველაფერთან ერთად, შენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის რეალურად განმსაზღვრელი გარეშე ძალებიც შენს მხარეზე არ არიან, მაინც გამარჯვებაზე რიხიანად ლაპარაკი და წინასწარ წაგებულ დაპირისპირებაში სხვების აყოლიებაც, თავის მოტყუებაა მხოლოდ! რა თქმა უნდა, ზემოთქმულის მიუხედავად, მაინც ხერხდება ხოლმე ხელისუფლების შეცვლა, მაგრამ, როგორც წესი, ხელისუფლების სათავეში ის პარტია მოდის (უფრო სწორად, მოჰყავთ!) რომელიც დიდად არაფრით განსხვავდება წინამორბედისგან, და ისიც სხვის დაკრულზე იწყებს ცეკვას, ხალხი კი ისევ პირში ჩალაგამოვლებული რჩება! ჩვენ ეს უკვე სამჯერ გამოვცადეთ, მაგრამ ისევ იმ გზით ვაგრძელებთ სვლას, უფრო კი ერთი ადგილის ტკეპნას, რომელსაც არა და არ მოაქვს ნანატრი(!) გამარჯვება. აქაოდა, იმედი არ კვდებაო ან, ბოლოს კვდებაო, გვაიმედებენ (და ღმერთმაც ნუ მოგვიშალოს იმედი), მაგრამ ოდენ ამ „უკვდავი იმედის“ ამარად ყოფნა მხოლოდ ადამიანების უცხოეთში გადახვეწას და იმ ქვეყნად მათ ადრიანად გასტუმრებას უწყობს ხელს!

ახლა თავში დასმულ კითხვას მივუბრუნდეთ: იმატა თუ არა დემოკრატიამ მსოფლიოში წინა პერიოდთან შედარებით? ვფიქრობ, აბსოლუტური უმრავლესობა მოსახლეობისა, თითქმის, ყველა სახელმწიფოში, დადებითად და სრული დარწმუნებით უპასუხებს: რა თქმა უნდა, იმატა! და ეს მართლაც ასეა, გარეგნულად მაინც! მაგრამ აი, კითხვაზე: იმატა თუ არა სამართლიანობამ მსოფლიოში, პასუხი, დარწმუნებული ვარ, საპირისპირო იქნება. იმატა სამართლიანობის დროშით წარმოებულმა ომებმა, ოღონდ, არა თავად სამართლიანობამ! ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითის მოყვანა შეუძლია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში ჩახედულ ნებისმიერ ადამიანს.

ერთი შეხედვით, ასეთი შეუსაბამობა აუხსნელია – როგორ შეიძლება დემოკრატიამ იმატოს და, სამართლიანობამ კი, პირიქით, – იკლოს! რა გამოდის, რასთან გვაქვს საქმე?

სახელმწიფოს მართვის მრავალნაირი ფორმა არსებობს, მაგრამ არც ერთი არ არის უნაკლო. ისევე, როგორც ყველაფერს ბუნებაში, მმართველობის ფორმებსაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. მათი ურთიერთშედარება ბევრს არაფერს იძლევა, ზოგი რომელ დადებით მხარეს ანიჭებს უპირატესობას და ზოგიც – რომელს (ან რომელ ნაკლს მიიჩნევს ყურადსაღებად და რომელს – ნაკლებად). მიუხედავად ამ ფორმების მრავალფეროვნებისა, იმისდა მიხედვით, თუ ვის ხელშია ძალაუფლება რეალურად, მაინც შესაძლებელია სამი მთავარი ფორმის გამოყოფა, ესაა: საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ერთპიროვნული (ავტორიტარული, დიქტატორული) მმართველობა.

იაკობ ლეჟავა,
5 თებერვალი, 2016
(გაგრძელება იძნება)

ⓘ ინფორმაცია

რომის პაპი საქართველოს ესტუმრება?

რომის პაპის ფრინსისკოს ადმინისტრაციაში, პონტიფიკოსის კავკასიაში სტუმრობის შესახებ ფიქრი კვლავ დაიწყეს.

რუსული გაზეთი „Новая газета“ რომის პაპის ადმინისტრაციაში წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, რომ პონტიფიკოსის კავკასიაში სტუმრობა 2016 წლის სექტემბრისთვის იგეგმება.

გავრცელებული ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში პაპი ფრანსისკო აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს ესტუმრება.

მედიანიუსი აღნიშნული ინფორმაციის გადასამოწმებლად საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურს დაუკავშირდა.

როგორც საპატრიარქოს პრესსპიკერმა განაცხადა, მათ „მსგავსი არაფერი სმენიათ“.

◎ ეს წვრილმანი არ არის!

ფარნავაზის ძეგლთან სასტუმრო არ უნდა აშენდეს!

ფარნავაზის ძეგლთან სასტუმროს შესაძლო მშენებლობის ცნობამ თბილისელებს ახალი სატკივარი გაუჩინა. მოსახლეობა აპროტესტებს, მაგრამ...

რედაქციამ კომენტარი სთხოვა ცნობილ არქიტექტორს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ვახტანგ დავითაიას.

— არქიტექტორები და ურბანისტები საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღიდან მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, რომ არ დაეშვათ ქალაქის ტერიტორიების სტიქიურად გაყიდვა, თუნდაც მიწათსარგებლობის გეგმის დამუშავებამდე. ეჭვგარეშეა, ეს დიდ უბედურებად დაუბრუნდება ქალაქს. ამ უთავბოლობის („უთავბოლობა“ დელიკატურადაა ნათქვამი, სინამდვილეში ეს კუჭისტი ინვესტორების და ჩინოვნიკების მერკანტილური ინსტინქტია) ნაყოფს იმკის დღევანდელი თბილისის ხელისუფლება. მიღებული იყო ასობით უკანონო გადაწყვეტილება, გაცემულია მრავალი უკანონო ნებართვა. არ გვეყო ის უგუნურობა, რაც მოხდა სპორტის სასახლის არეალში, მთლიანად 26 მაისის მოედანზე, არ გვეყო რაც დაუშვა მთაწმინდის პანორამას პირველი სკოლის უკან უზარმაზარი საცხოვრებელი კოლოსის ჩადგმამ და მთაწმინდის ფერდობის განაშენიანების სიმაღლის ზრდამ! არაფერს ვამბობ მშენებარე ცათამბჯენების არქიტექტურულ უსახურობაზე, ემოციურ ინდიფერენტულობაზე, შაბლონზე, მეორადობაზე.

ქეთევან წამებულის გამზირის ის მონაკვეთი, სადაც ფარნავაზის ძეგლია აღმართული, უნიკალურია. ის მოულოდნელი „ფანჯარაა“, საიდანაც იშლება განსაცვიფრებელი ხედი ისტორიულ თბილისზე. უცაბედი შეხვედრა თბილისთან შთამბეჭდავია და სამუდამოდ ამახსოვრდება სტუმარს. თქვენ ხედავთ ბუნებრივ, მძაფრ არქიტექტურულ სპექტაკლს, რომელიც მაღალმა ღმერთმა გვიბოძა. ამ „ფანჯრის“ ოდნავ მოხურვაც კი კატეგორიულად მიუღებელია. ეს იქნება მორიგი უდიდესი ურბანული დანაშაული თბილისის წინაშე.

მისასალმებელია ქალაქის მესვეურთა განცხადება ამ პრობლემის ალტერნატიული გზით მოგვარებაზე... ვნახოთ, ამჯერად იქნებ დედაქალაქის ურბანული პრობლემების გადაჭრის კონტექსტში, ხალხის სასარგებლოდ გადაწყდეს საკითხი...

ლაშა ძოგულაძე

◎ SIC!

ევროპაში ინტეგრაციის პროცესი არ მოითხოვს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას!

1 იანვრიდან მთიანი რეგიონების განვითარების სპეციალური კანონმდებლობა ამოქმედდა. როგორც კანონპროექტის ინიციატორმა, დეპუტატმა **ზაქარია ქუცნაშვილმა „რეპორტიორთან“** საუბრისას განაცხადა, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არის მზარდი მოთხოვნილება, რომ ესა თუ ის სოფელი მოხვდეს იმ ნუსხაში, რომელსაც ახალი კანონის მიხედვით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. ახალი კანონისა და სხვა აქტუალური საკითხის შესახებ „რეპორტიორს“ პარლამენტარი ესაუბრა:

— დღეის მდგომარეობით 1600 ქალაქი, დაბა და სოფელი მოხვდა მთიანი რეგიონების კანონის ქვეშ. მოთხოვნილება საკმაოდ დიდია საგადასახადო და სოციალური შეღავათების შინაარსიდან გამომდინარე. ზოგიერთი ცდილობს, წარმოაჩინოს ძველსა და ახალ კანონს შორის არსებითი განსხვავებები. მინდა ვთქვა, რომ ძველი კანონი, გარდა საშემოსავლო გადასახადის შეღავათისა, არანაირ შეღავათს არ ითვალისწინებდა. ახალი კანონმდებლობით კი მთელი რიგი სოციალური და საგადასახადო შეღავათები იქნა შემოღებული, რამაც ბუნებრივია, დაინტერესება გამოიწვია. მინდა, ვამცნო მოსახლეობას, რომ თუ შესაბამისობაშია მათი სურვილი კანონის განაწესთან, პირველ აპრილამდე მიმართონ მთის განვითარების საბჭოს და ჩვენ განვიხილავთ თითოეული დაბის თუ სოფლის საკითხს.

— ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ პროცესებს ხელისუფლებას და მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებენ. მართავს პროცესს ხელისუფლება? რას უპასუხებთ ბრალდებას?

— ჩვენთან ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა დავის კულტურა და ყველაზე მტკივნეულად ეს დავები მიმდინარეობს მედიაკომპანიებთან დაკავშირებით. 2 სფერო გამოიკვეთა დავებში — ეს არის მემკვიდრეობის გაყოფის სფერო და მედიის საშუალებების კონტროლის სფერო. აქ დავის კულტურა არის ძალიან დაბალ დონეზე. როცა ვინმე შეძლებული ადამიანი გარდაიცვლება, მეორე დღესვე ჩნდება მოლოდინი, რომ მემკვიდრეები დაერევიან ერთმანეთს და ატყდება გნიასი დანატოვარი ქონების გაყოფისთვის. ასეთი განცდაა მედიასთან მიმართებაშიც. მედიის მართვის დავაში კულტურა არის ნულოვანი. ატყდება დაუნდობელი ბრძოლა, ვიღაც ხელისუფლებას აბრალებს, ვიღაც ხელისუფლებასთან დაახლოებულ ადამიანებს. ერთი რამ შემიძლია გითხრათ დაბეჯითებით, ხელისუფლება ასეთ დავაში იმ შემთხვევაში უნდა ჩაერიოს, თუ რომელიმე თანამდებობის პირს გაუჩნდება სურვილი, ჩაერიოს ამ პროცესში და ხელისუფლების ჩარევა მხოლოდ ამ ქმედების აღკვეთაში უნდა გამოიხატებოდეს და არა პროცესის მართვაში. მივესალმები იმას, რომ მხარეები რამდენჯერმე შეიკრიბნენ და მრგვალ მაგიდასთან დასხდნენ. შესაბამისად, მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, არ მივცემ თავს უფლებას, მეტი შეფასება გავაკეთო ამ პროცესთან დაკავშირებით. ეს მათი გადასაწყვეტია. მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, ჩავერეოდი იმ შემთხვევაში, თუ დავინახავდი, რომ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი ამ პროცესში უხეშად ერევა. აქვე დავძენ, რომ ჩემი ინფორმაციით, ტელეკომპანია „მაესტროს“ დღემდე აფინანსებდა მაკა ასათიანი.

— საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებადამცველმა გიორგი ტატიშვილმა მიმართა სარჩელით ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით. როგორი პოზიცია გაქვთ ამ საკითხთა?..

— მე არ ვუჭერ მხარს ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციას. ევროპაში ინტეგრაციის პროცესი არ მოითხოვს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. ამიტომაც ყველას უფლებას პატივს ვცემთ. ჩვენ მივიღეთ მათი უფლებების დასაცავად ანტიდისკრიმინაციული კანონი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლეგალიზებას მოვახდენთ. პირად ცხოვრებაში არავინ ერევა, აქედან გამომდინარე, იცხოვრონ ისე, როგორც სურთ.

ესაუბრა
ალა გრიგალაშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველო საჰაერო ნავიგაციის ახალ სისტემაზე გადასვლას იწყებს

საქართველოში საავიაციო უსაფრთხოების დონის ამაღლების, საჰაერო ხომალდების საექსპლუატაციო ეფექტურობისა და საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, საექსპლუატაციო მახასიათებლებზე დაფუძნებული ნავიგაციის (PBN) დანერგვის გეგმა ამოქმედდა.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, შესაბამის დოკუმენტს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების — სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელმა პირებმა მოაწერეს ხელი.

PBN კონცეფციის დანერგვა ხელს შეუწყობს:

- ქვეყანაში საჰაერო სივრცის უსაფრთხოების გაზრდას საჰაერო ხომალდების დაშვების პროცედურების გაუმჯობესების გზით;
- საჰაერო ხომალდების ფრენის დროის შემცირებას ოპტიმალური ფრენის მარშრუტების დანერგვის გამო, რასაც შედეგად მოჰყვება საწვავის დაზოგვა, ხმაურისა და ნახშირორჟანგის ემისიების შემცირება, ასევე გარემოს დაცვის დონის ამაღლება;
- აეროდრომებზე თვითმფრინავების მოფრენის გაუმჯობესებას ყველანაირ მეტეოროლოგიურ პირობებში, ასევე კრიტიკული დაბრკოლებებისაგან დაშორების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
- ავიამეთვალყურისა და მფრინავის სამუშაო დატვირთვის შემცირებას თანამედროვე პროცედურებისა და თვითმფრინავის ტექნიკური შესაძლებლობების უკეთესად გამოყენების გზით;
- ფრენის მარშრუტის პროგნოზირებადობის გაზრდას.

საექსპლუატაციო მახასიათებლებზე დაფუძნებული ნავიგაციის (PBN)-ის დანერგვის გეგმა ითვალისწინებს ახალ სისტემაზე ავიასაწარმოების ეტაპობრივ და გეგმაზომიერ გადასვლას, რაც გულისხმობს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში არსებული საჰაერო ნავიგაციის პროცედურების შენარჩუნებას, იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც არ არიან აღჭურვილნი PBN კონცეფციით გათვალისწინებული ზონალური ნავიგაციის (RNAV) და/ან მოთხოვნილი სანავიგაციო მახასიათებლების (RNP) სისტემებით.

ეროვნული PBN კონცეფციის ეფექტურად და შეუფერხებლად დანერგვის მიზნით, გეგმის შემუშავებისას ჩატარდა საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ოპერაციებში ჩართული საჰაერო ხომალდების აღჭურვილობის კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ საჰაერო ხომალდების თითქმის 80-90%-ს გააჩნია RNAV და RNP შესაძლებლობა. ასევე, პირველ ეტაპზე ახალი პროცედურების დანერგვა დაიგეგმა საქართველოს იმ აეროპორტებში (ქუთაისი, ბათუმი), სადაც სანავიგაციო და სარადიოლოკაციო ინფრასტრუქტურა მზადაა შესაბამისი ცვლილებებისთვის.

ოკუპირებულ აფხაზეთში აბორტი კანონით აიკრძალა

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც აბორტს კრძალავს.

ახალი რეგულაციების მიხედვით, აბორტი სისხლის სამართლის დანაშაულია.

აფახაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში კრიზისული ფეხმძიმობის ცენტრები გაიხსნება. როგორც კანონშია განმარტებული, კრიზისული ფეხმძიმობის ცენტრი დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევებში დედების რჩევებით დახმარებას ითვალისწინებს. კერძოდ, იმ დედების, რომლებიც დეპრესიას განიცდიან და სურთ აბორტის გაკეთება.

კანონი აბორტის აკრძალვის შესახებ დე ფაქტო პარლამენტმა 29 იანვარს მიიღო. 9 თებერვალს კი ძალაში შევიდა.

რუსული მედიის ცნობით, აბორტის აკრძალვის ინიციატორები ამბობენ, რომ კანონის მიღება აუცილებელი იყო გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთის მოსახლეობის რიცხვი მცირდება. 1993 წლის შემდეგ აფხაზეთში 11,9 ათასი აბორტის შემთხვევა დაფიქსირდა. მხოლოდ 2015 წლის განმავლობაში კი 700. მედიკოსების თქმით, უმეტეს შემთხვევაში ქალები აბორტს სოციალური პრობლემების გამო იკეთებენ.

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

საქართველო არცერთ დროში არ „ტოლერანტობდა“ მამათმავლებთან!

ჯერ საქმით დაამტკიცეთ, თანაც ისე, რომ პუნქტებში არ შეიტანოთ ორაზროვანი განმარტებები. მაგალითად, რას ნიშნავს: — „საქართველო ვალდებულია იფიქროს იმ ტრადიციაზე, რაც გააჩნია და რითაც დღემდე მოვიდა, იფიქროს იმ ურთიერთობაზე და ტოლერანტობაზე, რაც გაგვაჩნია ნებისმიერი სახის უმცირესობასთან.“

საქართველო არცერთ დროში არ „ტოლერანტობდა“ მამათმავლებთან — ყოველთვის და ყველა დროში გამოხატავდა პროტესტს ამ სიბილწის მიმართ და ასე გაგრძელდება მომავალშიც.

ერთადერთი რამ, რაც სიტყვა „ტოლერანტობას“ მიუდგება, არის ის, რომ ქართველ ხალხს ადამიანურად და ქრისტიანულად ეცოდებოდა ასეთი გზააბნეულები და ცდილობდა მათ მიბრუნებას ეკლესიისკენ, რაც არამც და არამც არ ნიშნავს თავად მამათმავლობისადმი შეგუებას.

მათი დასაქმება სკოლებში და სასწავლო დაწესებულებებში უნდა აიკრძალოს, რათა საფრთხე არ შეექმნას მოზარდი თაობის ჯერ ისევ ჩამოუყალიბებელ ცნობიერებას. სამუშაო სხვა სფეროშიც მრავლად მოიძებნება...

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის გია ვოლსკის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მუშაობა მიმდინარეობს, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციაში განისაზღვრება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ამის შესახებ მმართველი გუნდის წევრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე: აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმა იქნება თუ არა ერთმნიშვნელოვანი უარყოფა ერთსქესიანთა ქორწინებისა, ვოლსკიმ განაცხადა, რომ „დიახ“.

ლია რუსიაშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ნატოს მთავარი საფიქრალი რუსეთის ბირთვული არსენალია...

რატომ არ არიან ნატოს წევრები მზად, საქართველოსთან დაკავშირებით მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება და რჩება თუ არა რუსეთის პოზიცია ნატოს ლიდერებისთვის მთავარ არგუმენტად? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.

— ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ამბობს, რომ საქართველოსთვის უკეთესი იქნება აქცენტი იმპლემენტაციაზე გააკეთოს, რადგან MAP-ის მიღება ახლა ვერ მოხდება. რატომ არ არიან ნატოს წევრები მზად, საქართველოსთან დაკავშირებით მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რითია გამოწვეული ალიანსის თავშეკავებულობა?

— დიდი ალბათობით, ალიანსის თავშეკავება გამოწვეულია იმ არაერთი გაუგებრობით, რასაც ადგილი აქვს საქართველოში. არსებობს მეორე ვერსიაც, რომ გაწევრიანების მოთხოვნით იმდენად აგრესიული იყო მოთხოვნები ჩვენი მხრიდან, რომ ამან გარკვეული დისტანცირება გამოიწვია. რასაკვირველია, ნატოს ლიდერებისთვის მთავარ არგუნტად რჩება რუსეთის პოზიცია.

რა სახის კომუნიკაციები და ურთიერთშეთავაზებები მიმდინარეობს რუსეთსა და აშშ-ს შორის, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ გახლავთ. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ 1992 წლის ამერიკის დიპლომატიის პატრიარქი, ბატონი კისინჯერი უბრალოდ არ ჩაფრინდებოდა პუტინთან შესახვედრად მოსკოვში. მოგეხსენებათ, რომ სამი დღის წინათ იმყოფებოდა მოსკოვში.

ამიტომ, არ მინდა გულგატეხილობის წინაპირობა შევქმნა, მაგრამ ეჭვი არ უნდა ეპარებოდეთ ჩვენში და ეს მუდმივი შფოთი, რომელიც სუფევს ქვეყანაში, არ გეგონოთ, რომ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბებით არის განსჯადი. ფაქტია, რომ ნატოს ნამდვილად სურს თანამშრომლობა საქართველოსთან. შესაბამისად, ჩვენ უნდა შევძლოთ ნატოს ხელმძღვანელების ეს სურვილი რეალობად ვაქციოთ გონიერი ნაბიჯებით და არა შეტევითი მოთხოვნებით.

— როგორც აპატურაი ამბობს, ზოგიერთი ქვეყანა შიშობს, რომ უსაფრთხოების გარანტიების გარეშე საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის მინიჭება საქართველოსთვისვე რისკს გაზრდის. როდესაც ასეთ პოზიციას ვისმენთ ალიანსის მხრიდან, ეს ნიშნავს არ აჩენს საქართველოს მოსახლეობაში?

— რასაკვირველია, მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ რისკი გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო გაწევრიანდება. ეს რისკი იქნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ნატოს წევრებისთვისაც და ცხადია, ამ რისკის საფუძველი გახლავთ რუსეთი, რომელიც უკვე მრავალი წელია იმუქრება. რასაკვირველია, ეს საფრთხე არსებობდა და არსებობს დღესაც.

ამიტომ, იქნებ მოხდეს ისე, რომ როგორმე გავხდეთ ალიანსის პოლიტიკური ნაწილის წევრი. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ თავად საფრანგეთი სამხედრო შემადგენლით 10 წლის განმავლობაში გამოსული იყო ალიანსიდან, მაგრამ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობდა. ჩემი აზრით, უფრო დიდი ნაბიჯი იქნებოდა, რომ პოლიტიკურად ვყოფილიყავით მისაღები.

— სამხედრო კუთხით საქართველომ ყველა დავალება შეასრულა, მაგრამ პოლიტიკურ ნაწილში წარმატებას ვერ აღწევს. იქნებ ამ ვითარებაზე პასუხისმგებელია თავად ალიანსი და მათი მხრიდან არ იქნა შესაბამისი ნაბიჯები გადადგმული, რომ საქართველოს ჰქონოდა პოლიტიკური მხარდაჭერა?

— პოლიტიკური მზაობა უნდა მოახერხოს საქართველომ. რაც შეეხება ცალკე აღებულ ნატოს წევრ ქვეყნებს, რასაკვირველია, მათ ამ გადაწყვეტილების მიღება უჭირთ და მით უმეტეს მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფოთა სოლიდურ ნაწილს სანქციები აქვს დაწესებული რუსეთის წინააღმდეგ. მათ თვალწინ რუსეთი ბომბავს ჰოსპიტალს სირიაში, ასეთი უპასუხისმგებლო ხელისუფლების ხელშია დღეს რუსეთი. ამიტომ, საქართველოს ინტერესები ვერ იქნება უპირველესი არგუმენტი ნატოს თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად.

საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ პასუხი კითხვაზე, თუ რატომ გაჩნდა MAP-ის მიღების აუცილებლობა

— მაგრამ ჩვენ ვერ შევცვლით ჩვენს გეოგრაფიულ მდგომარეობას, რუსეთი იყო, არის და იქნება მეზობელი სახელმწიფო...

— წარმოუდგენელია, რომ რუსეთი დიდხანს იყოს ისეთი, როგორიც დღეს არის. გარდა ამისა, დღეს, ნატოს წევრი ქვეყნების მთავარი ტკივილი გახლავთ მათი პირადი ურთიერთობა რუსეთთან. არა იმიტომ, რომ ენა მოუჩლიფონ და თავზე ხელი გადაუსვან, არამედ სწორედ საკუთარი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისთვის. ცხადია, რომ ეს ინტერესები არ ემთხვევა რუსეთის ინტერესებს და აგერ უკვე, უკანასკნელი სამი წელია არ მცირდება ურთიერთსაწინააღმდეგო ნაბიჯების რეალობა.

— თინა ხიდაშელი ჯერ კიდევ 2015 წელს ამბობდა, რომ არ აპირებდა გეგმა C-ზე და B-ზე ლაპარაკს და ვაჭრობას, რადგან ყველაფერს აქვს თავისი გონივრული განვითარება და მოსახლეობა იმსახურებს მიიღოს პასუხი, როგორც MAP-ზე, ასევე გაწევრიანებაზე. დღეს თავდაცვის მინისტრი ამბობს, რომ ვარშავის სამიტზე არ ელოდება სამოქმედო გეგმას...

— არ გამოვრიცხავ, რომ მინისტრის პირველი განცხადება საკმაოდ უჩვეულო ყოფილიყო ნატოსთვის, იგი ბრძანების ელფერს შეიცავდა. და თუ ასეა, ალბათ, გარკვეული რეაგირება იყო მათი მხრიდან, რისი შედეგიც არის ჩვენი მინისტრის დღევანდელი პასუხი. მაქვს მოლოდინი, რომ აქტიური თანამშრომლობა იქნება ნატოსთან და გარკვეული სიკეთე ექნება ჩვენი ქვეყნისთვის. მაგრამ, როგორც ჩანს, სრულფასოვანი წევრობა სერიოზული ფიქრის საგანია ნატოში შემავალი ყველა ქვეყნისთვის, რომელთაც გარდა საკუთარი პრობლემებისა, უკვე მოეძალათ საერთო პრობლემები რუსეთის სრულიად უპასუხო ქმედებების გამო.

დღეს, ნატოს მთავარი საფიქრალი არის რუსეთის ბირთვული შეიარაღება, ვიდრე რომელიმე ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა. ვეცადოთ, დავრჩეთ ოპტიმისტებად და MAP-ის არმიღება არ შევაფასოთ მხოლოდ როგორც საფრთხე, რადგან ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ MAP არ იყო ნატოს წევრობის აუცილებელი წინაპირობა. შევეცადოთ, საკუთარ თავში ვეძიოთ პასუხი კითხვაზე, რატომ გაჩნდა MAP-ის მიღების აუცილებლობა და, ალბათ, ეს იქნება პასუხი იმისა, რატომაც არ ვიღებთ MAP-ს — ვერ დავიმსახურეთ, თუ უკეთეს პერსპექტივას უნდა მოველოდეთ?

ესაუბრა
მართა ლაბაძე

დედამიწის ზურგზე

ნატო ზრდის სამხედროთა ყოფნას აღმოსავლეთ ევროპაში, რათა თავიდან აიცილოს „რუსული აგრესია უკრაინულ სტილში“

ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრებს, რომლებიც ბრიუსელში შეიკრიბნენ, განზრახული აქვთ 10 თებერვალს განიხილონ ბალტიის, ცენტრალური და სამხრეთი ევროპის განმტკიცების ახალი გეგმა ჰიბრიდული ომის ხერხების, ანდა რუსეთის ჯარების სრულმასშტაბიანი ოკუპაციის წინააღმდეგ. საკითხი შეეხება 500-1000-კაციანი ქვედანაყოფების განთავსებას ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ტერიტორიებზე.

სამხრეთი კორეის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალური შტაბის უფროსის სიკვდილით დასჯის შესახებ

Yonhap-ის სააგენტოს მონაცემებით, ლი იონ გილს ბრალი ედებოდა კორუფციასა და სხვა დანაშაულებში და სიკვდილით დასაჯეს თებერვალში. როგორც წყარო იუწყება, სიკვდილით დასჯა აღასრულეს გასულ კვირას, როდესაც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბელადი კიმ ჩენ ინი სათავეში ედგა შრომითი პარტიისა და სამხედროების ერთობლივი სხდომის პრეზიდიუმს.

პენტაგონმა გააძლავნა სამხედრო დაზვერვაზე მომავალი ხარჯების საერთო თანხა

თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა 16,8 მილიარდი დოლარი სამხედრო დაზვერვის დაფინანსების შესახებ 2017 წლისათვის თავდაცვის ბიუჯეტის ფარგლებში. ხარჯვის მიმართულებები არ მჟღავნდება, რათა საფრთხის ქვეშ არ დააყენონ საიდუმლო ოპერაციები, განმარტავენ პენტაგონში.

ცენტრალურ ამერიკაში ზიკის ვირუსით დაავადებასთან ბრძოლას ხელს უშლის ქუჩის ბანდები

ვირუსით დაავადების პირველი შემთხვევა გამოავლინეს მექსიკის კურორტ აკაპულკოში. ხელისუფლება ლაპარაკობს საფრთხის არარსებობის შესახებ ტურისტებისათვის და რეგიონში შემოაქვთ რეპელენტები. ამ დროს ექიმები გადააწყდნენ წინააღმდეგობას თავიანთ მუშაობაში დანაშაულებრივ დაჯგუფებათა მხრიდან, რომლებიც მთელ კვარტალებს აკონტროლებენ.

იაპონიის ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-ში ამუშავდა რადიოაქტიური ნაგვის დანვის ქარხანა

18 თებერვლამდე საწარმო იმუშავებს ტესტურ რეჟიმში, ვარაუდობენ, კერძოდ, შეამოწმონ, ხომ არ მოხდება რადიაციის გაჟონვა ფერფლის დაწვისა და გადაადგილების

პროცესში. ამის შემდეგ ქარხანა უნდა ამუშავდეს მთელი სიმძლავრით.

გერმანიის ხელისუფლებამ მოუწოდა უკრაინას, გადასინჯოს რუსეთის წინაშე რესტრუქტურიზაციის ვალის პირობები

მოწოდება — შეცვალონ პირობები — გაისმა გერმანიის ფინანსთა სამინისტროს მხრიდან, რომელიც გამოდის შუამავლად მოსკოვსა და კიევს შორის. ადრე რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ უარყო უკრაინის წინადადება ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ 3 მილიარდი დოლარის ოდენობით არამომგებიანი პირობების გამო.

ევროკავშირი დაშლის ზღვარზეა

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო მიიჩნევს, რომ ევროკავშირი დაშლის ზღვარზეა. „ვინმეს მოსწონს ეს თუ არა, 2016 იქნება წელი, როდესაც ევროკავშირი მიგრაციის კრიზისის გაკონტროლებას ან შეძლებს, ან ჩამოინგრევა“, — აღნიშნა სლოვაკეთის პრემიერმა.

„ევროკავშირს არ აქვს მიგრაციის კრიზისიდან რეალური გამოსავლის გზები, რაც მოსახლეობაში დაძაბულობის, ნერვიულობის და შიშის ზრდას იწვევს, მიგრაცია კი გრძელდება. ამას შესაძლოა, კატასტროფული შედეგები მოჰყვეს“, — აღნიშნა ფიცომ.

სლოვაკეთის პრემიერი მიგრანტთა ნაკადის შემცირების მიზნით, ევროკავშირის საზღვრის დაცვის ინიციატივით ამ დრომდე არაერთხელ გამოვიდა. იგი ასევე არ ეთანხმება ევროკავშირის გადაწყვეტილებას 160 ათასი თავშესაფრის მაძიებლის წევრ ქვეყნებში გადანაწილების შესახებ.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს საწვავის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემულ საწვავის რაოდენობასა და საწვავის ტიპზე:

#	საწვავის დასახელება	რაოდენობა (ლიტრი)
	1	2
1	ბენზინი პრემიუმი (ოქტანობა - არანაკლებ 95)	23000
2	ევროდიზელი (არაუმეტეს 50 PPM)	43000

● საწვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურებზე წარდგენილი სათანადო პლასტიკური ბარათების მეშვეობით და/ან ტალონების (ლიტრობრივ ერთეულში) მეშვეობით.

● საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ტენდერის გახსნის დღეს (2016 წლის 25 თებერვალს) „პრეტენდენტის“ საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ერთი ლიტრი საწვავის ფასზე შემოთავაზებული დისქაუნთის გათვალისწინებით. შეფასება განხორციელდება ჯამური ღირებულებების მიხედვით. გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გასაყიდი საწვავის ერთი ლიტრის ფასი განსაზღვრული იქნება შესაბამისი საწვავისთვის 2016 წლის განმავლობაში განაცხადის გაკეთების დღეს ქსელში ანალოგიურ პროდუქტზე დაფიქსირებულ ერთი ლიტრი საწვავის ფასს გამოკლებული შემოთავაზებული დისქაუნთი. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება იქნება 110000 (ასათი ათასი) ლარი.

● საწვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა თანმდევი ხარჯის გათვალისწინებით, მათ შორის: დ.ღ.გ.-ს, საწვავის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების, ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის მიწოდების ხარჯების, პლასტიკური ბარათების და/ან საწვავის ტალონების დამზადება-მომსახურების ხარჯების გათვალისწინებით.

● ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ფაქტიურად საწვავის ჩატვირთვაზე ან/და საწვავის ტალონის გადაცემაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

● საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ამასთან თითოეულ ეტაპზე მოთხოვნილი იქნება საერთო მოცულობის არაუმეტეს 25%-ისა.

● პრეტენდენტის მატერიალაურ-ტექნიკური ბაზა: არანაკლებ 10 ავტოგასამართი სადგური ქ. თბილისში, ავტოგასამართი სადგურები შემდეგ რეგიონებში ან მიმდებარე ტერიტორიაზე: ქვემო ქართლში (რუსთავი, მარნეული); სამეგრელო – (ზუგდიდი, სენაკი); იმერეთი – (ქუთაისი, ზესტაფონი), შიდა ქართლი (გორი, ხაშური); სამცხე ჯავახეთი (ახალციხე, ახალქალაქი).

● სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირი ვაჭრობისას („შემდგომში– ბიჯი“) – 0.02 ლარი ერთ ლიტრ საწვავზე.

● საწვავის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტებს (ISO) ან გოსტს ან ევროპულ ნორმებს (EN) ან აშშ სტანდარტს (API) და პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

● საწვავის მთლიანი რაოდენობის არ შესყიდვისათვის „შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

აუცილებელი პირობა:

შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების 3%-ის ოდენობით. ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 2% -ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი: LBRTGE22, ა/ა №GE98LB0113117903752000 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის №T-01 G-01/2016.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 50-ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2016 წლის 24 თებერვლის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2016 წლის 25 თებერვალს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2016 წლის 25 თებერვალს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მეწარმეებისათვის:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისის ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ და რუსულ ენებზე (ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების დადგენილი წესის შესაბამისად დამოწმებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი №T-01 G-01/2016.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში – ნიმუში;

ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;

გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;

დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეივსოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1-ლი სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენედერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა №2, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: დირექტორის მოადგილე ლოჯისტიკის საკითხებში **ზაზა ცოციაშვილი** მობ: 577991999, ელ. ფოსტა: zaza.tsotsiashvili@energotrans.com.ge და შესყიდვების მენეჯერი **თეა ტორიაშვილი** ტელ: 577625485 ელ. ფოსტა: t.toriashvili@energotrans.com.ge

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

◎ ლიცენზიატები

ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო!

მარათონით – თამაშებისკენ

შარშან 27 სექტემბერს გერმანიის დედაქალაქში „42-ე BMW ბერლინის მარათონი“ გაიმართა, რომელშიც 40.000-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მათ შორის იყო ქართველი მძლეოსანი, სპორტის უნივერსიტეტის მესამეკურსელი დავით ხარაზიშვილი, რომელმაც 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათში, 16 წუთსა და 17 წამში დაფარა, რითაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველმა შეასრულა მარათონული რბენის ოლიმპიური ნორმატივი (2.17,00) და წლეულს რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს.

ამას წინათ ზამთრის ეროვნულ ჩემპიონატზე დავით ხარაზიშვილმა 5000 მეტრი 14 წუთსა და 59,5 წამში დაფარა და ზიგმუნდ ზილბერშტეინის მიერ დამყარებული საქართველოს 15 წლის წინანდელი რეკორდი გააუმჯობესა.

იგი 1992 წლის 24 აპრილს დაიბადა თბილისში. ყველა მოზარდის მსგავსად, ბავშვობისას ფეხბურთმა გაიტაცა, მაგრამ დიდხანს ვერ დაუდო გული. მერე თანაკლასელების მიბაძვით თავისუფალ ჭიდაობაზე დაიწყო სიარული. კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე ლავიწის ძვალი გაიტეხა და ხალიჩასაც დაემშვიდობა.

— იარა მოვიშუშე თუ არა, 13 წლისამ გადავწყვიტე, მამისთვის მიმებაძა, — მითხრა დათო ხარაზიშვილმა. — მამაჩემი გიორგი ხარაზიშვილი გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი იყო 800 და 1500 მეტრზე რბენაში, საკავშირო სპორტსაზოგადოებების პირველობებიც აქვს მოგებული. თენგიზ გელდიაშვილთან დავიწყე ვარჯიში მძლეოსნობაში. მეც 800 და 1500 მეტრზე რბენა ავირჩიე. 2006 წელს მამა კანადაში გაემგზავრა სამუშაოდ — იქაურ ახალგაზრდა მძლეოსნებს აოსტატებდა. სამშობლოში სამი წლის შემდეგ დაბრუნდა და საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. ჩემი დაოსტატებაც მან ითავა. 2012 წელს პირველად 1500 მეტრზე რბენაში გავხდი საქართველოს ჩემპიონი. მას შემდეგ დღემდე საშუალო დისტანციებზე, 3000 და 5000 მეტრზე ბევრჯერ დავიკავე პირველი ადგილი. ახლაც საქართველოს ზამთრის ჩემპიონატისთვის სამი თვე ვემზადებოდი. მიხარია, რომ გარჯამ უკვალოდ არ ჩაიარა.

— მარათონში როდის მოსინჯე ძალები?

— 2014 წელს საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ლატვიელი ლუდმილა ოლიარი დაინიშნა. მისი რჩევით გადავერთე მარათონზე და იმავე წლის ბოლოს რიგაში გავემგზავრე ცნობილ მწვრთნელ ალექსანდრ პროკოპჩუკთან. მისი მეუღლე მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მარათონელია, ნიუ-იორკისა და სხვა ცნობილი მარათონები აქვს მოგებული. ბატონმა პროკოპჩუკმა, შემოწმების გავლის შემდეგ, თანხმობა მომცა, რომ მომამზადებდა. დღემდე ის და მამაჩემი მავარჯიშებენ. ბალტიისპირელი სპეციალისტის რჩევით შარშან აპრილში პირველად ვირბინე სრული მარათონი რიგაში. მანამდე ერთთვიან შეკრებაზე ვიყავით პორტუგალიაში. ლატვიის დედაქალაქში 42 კილომეტრი და 195 მეტრი 2 საათსა და 23 წუთში დავფარე, რაც დებიუტისთვის ურიგო შედეგი არ არის და მწვრთნელისგან შექებაც დავიმსახურე. მთავარი კი ის იყო, რომ სტარტის წინ გავიცანი თბილისელი მარათონელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დავით ტატიშვილი, რომელმაც გამამხნევა. ასპარეზობისას მისი რჩევა-დარიგებებიც გამომადგა. ბატონი დავითი ფინიშზეც დამხვდა და წარმატებული საბრძოლო ნათლობა მომილოცა, თან მითხრა, თბილისში რომ დაბრუნდები, აუცილებლად მეწვიეო. თავისი სარეაბილიტაციო ცენტრი დამათვალიერებინა, თანამშრომლები გამაცნო. დღემდე მისი სიკეთით ვსარგებლობ, რისთვისაც ბატონი დავითის მადლობელი ვარ.

— ბერლინის მარათონზე რას იტყვი?

— გერმანიის დედაქალაქში ყოველწლიურად რბენის ბევრი მოყვარული იყრის თავს. შარშან სექტემბერშიც ასე იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ტურნირზე რიოს ოლიმპიადის საგზურის მოპოვება შეიძლებოდა, ამიტომაც მირჩია მწვრთნელმა, აუცილებლად მეასპარეზა. მართალი გითხრათ, ოლიმპიურ თამაშებზე არაერთხელ მიოცნებია, მაგრამ ასე მალე თუ ავისრულებდი მას, ნამდვილად არ მეგონა. ფინიშზე 34-ე ვიყავი, სალიცენზიო ნორმატივი შევასრულე და საქართველოს რეკორდი დავამყარე.

— დათო, 2015 წელს შენ თბილისის მარათონზეც გამოიჩინე თავი...

— 21 კილომეტრი და 100 მეტრი საათსა და 10 წუთში გავირბინე, რითაც პირველი ადგილი დავიკავე. ეს ტურნირი ჩემთვის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადისთვის მზადების გეგმის ნაწილი იყო. ინტენსიურად ვვარჯიშობ — დღეში 5-6 საათს. კვირაში 200-250 კილომეტრს ვფარავ.

— ზოგს 100 მეტრის ფეხით გავლა ეზარება, შენ კი ამდენ დატვირთვას როგორ უძლებ?

— როცა დაზარებაზე დიდი მიზანი გაქვს, ყველა ბარიერს იოლად დაძლევ. ამ მხრივ ჩემთვის მაგალითია სტივ პრიფონტენი. 5.000 მეტრზე რბენაში ამერიკის რეკორდსმენმა 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე ამ დისტანციაზე მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ სამი წლის განმავლობაში ისე ივარჯიშა, რომ 5 და 10 ათას მეტრზე რბენაში მიუნხენის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონ ლასე ვირენზე უკეთესი შედეგი ჰქონდა და მონრეალში ფავორიტიც იქნებოდა, მაგრამ 1975 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა. სტივმა დაადასტურა, რომ დაუღალავი შრომით ნებისმიერი შედეგის მიღწევა შეიძლება. ოლიმპიადის საგზურის მოპოვებით, ასე ვთქვათ, პროგრამა-მინიმუმი შევასრულე. ახლა მთავარია, რიოსთვის მოვემზადო საფუძვლიანად. საამისოდ ყოველმხრივ მიწყობენ ხელს მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციასა და სპორტის უნივერსიტეტში, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ. საწვრთნელი შეკრებისთვის 20 თებერვალს პორტუგალიაში გავემგზავრები, 27 მარტს კი ნახევარმარათონში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვალ. ყველაფერს ვიღონებ, რომ რიოს თამაშებზე პრიზიორთა შორის მოვხვდე. მესმის, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ არა — შეუძლებელი.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო.

◎ სეოკში

ლილეჰამერში – ორი სპორტსმენით

ნორვეგიულ ლილეჰამერში 22 წლის წინათ ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშები გაიმართა, რომელშიც ჩვენმა სპორტსმენებმა პირველად იასპარეზეს დამოუკიდებელი საქართველოს სახელით. ამჯერად ეს საკურორტო ქალაქი 12 თებერვლიდან მსოფლიოს ახალგაზრდობის ზამთრის მეორე ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. 71 ქვეყნის 1000-ზე მეტი ახალგაზრდა სპორტსმენი 15 სახეობაში შეეჯიბრება ერთმანეთს საპრიზო ადგილებისთვის. თამაშებზე მედლების 70 კომპლექტი გათამაშდება. უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენი ქვეყანა ამ ფესტივალზე ორი სპორტსმენით წარსდგება. ესენი არიან მოციგავე **ლაშა ფერაძე** და სამთო მოთხილამურე **ბესარიონ ჯაფარიძე**. ფერაძე 14-ში, ხოლო ჯაფარიძე 16 (გიგანტური სლალომი) და 19 (სლალომი) თებერვალს იასპარეზებს.

ქართველი სპორტსმენების ლილეჰამერში გამგზავრებას მიეძღვნა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართული პრესკონფერენცია. სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა ილაპარაკა ახალგაზრდული თამაშების მნიშვნელობაზე და ჩვენს ათლეტებს წარმატება უსურვა. პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ საქართველოს დელეგაციას უთავკაცებს სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი, ხოლო ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელი იქნება სეოკ-ის სპორტული დირექტორი გიორგი ესაკია. დელეგაციის შემადგენლობაშია მწვრთნელი იასონ აბრამაშვილიც (სამთო თხილამურობა), რომელიც ზამთრის სამი ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. ლაშა ფერაძე მწვრთნელ ფელიქს ქუმარიტაშვილთან ერთად ლატვიაში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე და ლილეჰამერში ბალტიისპირეთიდან ჩავა.

გივი გაგუა

სურათზე: იასონ აბრამაშვილი (მარცხნივ) და ბესარიონ ჯაფარიძე.

◎ კალათბურთი

„გოლდენ სტეიტის“ მორიგი რეკორდი

გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ხუთი შეხვედრა გაიმართა.

„გოლდენ სტეიტმა“ შინ „ჰიუსტონს“ 123:110 აჯობა. 51 ბრძოლიდან „მეომრებმა“ 47 მოიგეს და 4 წააგეს, რაც ნბა-ს ახალი რეკორდია — ასეთი შედეგი აქამდე არცერთ გუნდს არ ჰქონია. „გოლდენ სტეიტმა“ წინა სეზონიდან მოყოლებული სახლში ზედიზედ 42-ე შეხვედრა მოიგო, რაც ნბა-ში მეორე შედეგია. ამ მხრივ რეკორდი 1995/96 წლების „ჩიკაგოს“ ეკუთვნის — მაშინ „ხარებმა“ ზედიზედ 44 საშინაო მატჩი მოიგეს.

რაც შეეხება „ჰიუსტონთან“ ჯახს, „გოლდენ სტეიტი“ პირველსავე პერიოდში დაწინაურდა, შემდეგ ტეხასელებმა შეძლეს სხვაობის შემცირება და წინ გასვლაც კი, თუმცა მეოთხე პერიოდში „ოქროს შტატელებმა“ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს. მატჩში ყველაზე მეტი 37 ქულა „ჰიუსტონის“ ლიდერმა ჯეიმს ჰარდენმა ჩააგდო, ხოლო მასპინძელთაგან 35 ქულით სტეფ კარი გამოირჩა.

„მაიამი“ შინ „სან ანტონიოსთან“ 101:119 დამარცხდა. ტეხასელები მეორე პერიოდის ბოლოს დაწინაურდნენ, რის შემდეგაც მაიამელები შეხვედრაში წინ აღარ გასულან. სტუმართაგან მატჩში ყველაზე მეტი 28 ქულა ლამარკუს ოლდრიჯმა ჩააგდო, „მაიამიში“ კი 20 ქულით დუეინ უეიდი გამოირჩა. „სან ანტონიო“ 44 მოგებით და 8 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზეა.

„მილუოკი“ — „ბოსტონი“ 112:111 (26:30, 27:24, 40:20, 19:37),

„ნიუ იორკი“ — „ვაშინგტონი“ 108:111 (21:35, 29:28, 33:20, 25:28),

„დალასი“ — „იუტა“ 119:121 (29:21, 29:30, 29:27, 23:32, წ.ე. 9:11) (ზაზა ფაჩულიამ 7 ქულა, 15 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კარდაშიანი აიტანს!

ალბათ, რუსის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში სომხური ფესვების მქონე ამერიკელ სექს-სიმბოლოს კიმ კარდაშიანს. საუბარია მუშტზე, რომელმაც კიმის ფაფუკ სხეულს მართალია დიდი ვერაფერი დააკლო, მაგრამ მოხვედრა მაინც მოხვედრაა!

როგორც ირკვევა, კიმ კარდაშიანი ნამეტნავად შეაწუხა ზედმეტმა კილოგრამებმა და წონის დაგდება სპორტული მეთოდით გადაწყვიტა, მაგრამ სკანდალებით სახელგავარდნილი კიმ კარდაშიანი რისი კარდაშიანი იქნებოდა, ბანალურად მხოლოდ ცურვითა და ტრენაჟორებით რომ შემოფარგლულიყო?

ამ ჩაჯირკულ ქალს ამერიკაში ცნობილი კრივის სპეციალისტი დაუქირავებია და წონის ლიკვიდაციას თურმე სწორედ კრივით ახდენს. ჰოდა, არის ახლა მკერდზანზარა სომხის გოგო დიდ მუშტების ქნევასა და სპარინგობებში. პრინციპში, მის ცხოვრებას თუ გადავხედავთ, ეს ისედაც არ აკლდა. ახლა მთავარია, ისე იჩხუბოს, მის სათუთ მკერდს არაფერი დაუზიანდეს. თორემ, კიმი მაგარია — აიტანს!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რა ენა წახდეს...

დავამკვიდროთ ქართული ტერმინები!

ალბათ, კიდევ დიდი დრო დაგვჭირდება, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ დასტამბოს სპეციალური ბროშურა, რომელშიც საუბარი იქნება მედიის მუშაკთათვის უაღრესად აუცილებელ საკითხებზე. ამჯერად მხედველობაში მაქვს ის სასაუბრო თემატიკა, რომელზედაც ჩვენი ახალგაზრდა სპორტული ჟურნალისტები მეტყველებენ. საკმაოდ უხერხულია, როცა ისინი ჯიუტად, თავისი პრინციპების გამო, რუსულ ან უცხოურ გამოთქმებს იშველიებენ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, როცა სპორტის №1 სახეობას ფეხბურთს შეეხება. ყველა დიქტორს თუ კომენტატორს რეპორტაჟის საკუთარი ხელწერა აქვს. მაგონდება ჩვენი სასიქადულო რადიო და ტელეკომენტატორები, განუმეორებელი ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე. ეს ბრწყინვალე მსახიობები ღმერთისაგან ბოძებული დიდი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული. რაც მთავარია, მათი დიდი დამსახურება გახლდათ (ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად) რეპორტაჟების წაყვანის მაღალი კულტურა, იუმორი, წმინდა ქართული ტერმინების მოშველიება. ეროსი და კოტე მსმენელთა და მაყურებელთა უდიდესი სიყვარულით სარგებლობდნენ. დღესაც თვალწინ მიდგას ეროსი მანჯგალაძის მიერ „ლელოში“ დასტამბული ერთი წერილი, სადაც იგი აღნიშნავდა: **„როცა მიკროფონთან დგახარ და გიწევს სპორტის ამა თუ იმ სახეობის შეჯიბრების ტელეტრანსლაციის წაყვანა, უპირველესად უნდა გესმოდეს აღნიშნული სახეობის ყველა წვრილმანი. მსმენელებს თავს არ უნდა მოახვიო საკუთარი აზრი, რადგან დღევანდელი ტელემაყურებელი საკმაოდ ინტელექტუალურად გაიზარდა და ძალიან ხშირად კომენტატორზე არანაკლებაა ჩახედული საქმის ვითარებაში. დაუშვებლად მიმაჩნია კომენტატორის უნიჭო კრიტიკა შეხვედრის მსაჯთა მიმართ. ყოველთვის კარგია, მსმენელთა ფართო აუდიტორიას მიაწოდო იმ სპორტსმენის გვარი, ვინც მოცემულ მომენტში ფლობს ბურთს. ტელეკამერასთან გაუთავებელი ლაყბობა ანტიპათიურად განაწყობს კვალიფიციურ მაყურებელს. ზოგი მათგანი საერთოდ თიშავს კიდეც ასეთი კომენტატორის რეპორტაჟს და მშვიდად ადევნებს თვალს მწვანე მინდორზე მომხდარ მოვლენებს. მიმაჩნია, რომ ისინი სწორად იქცევიან. მე არ შემიძლია ასეთი კატეგორიის ტელემაყურებელი გავამტყუნო, რადგან ისინი საკმაოდ კარგად არიან გათვითცნობიერებული ბევრ წვრილმანში. გავა წლები და ტელერეპორტაჟის წაყვანის კულტურა კიდევ უფრო დაიხვეწება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მომავალში სპორტული ტელეკომენტატორებისათვის საჭირო კურსებიც გაიხსნას. კომენტატორი უნდა ეხმარებოდეს ხალხს და ხელს არ უნდა უშლიდეს მაყურებლებს მწვანე მინდორზე მომხდარი მოვლენების სწორად გაგებაში“...**

დღევანდელი კომენტატორების ლექსიკონში საკმაოდ უსიამოვნოდ ჟღერს წმინდა არაქართული გამოთქმა – „გოლი გაიტანა“, რაც დალოცვილ ბურთი გაიტანას ნიშნავს. ეს ერთი შეხედვით ანბანური ჭეშმარიტება წლების განმავლობაში სისტემატურად ჟღერს ეთერში. ვერასგზით ვერ ამოვშანთეთ ლექსიკონიდან პოკერი შეასრულა, რაც ოთხი ბურთი მოათავსა კარში ნიშნავს, ჰეთ-თრიქი მიითვალა (3 ბურთი შეაგდო), დუბლი მიითვალა (ორჯერ აიღო მეტოქეთა კარი), აუტიდან ბურთი მიაწოდა (გვერდითი ხაზიდან ბურთი შეიტანა თამაშში), სეივი შეასრულა გოლკიპერმა (მკვდარი ბურთი აიღო მეკარემ), პენალტი დაინიშნა (11-მეტრიანი დაინიშნა).

თითქმის ყოველ ნაბიჯზე წავაწყდებით ისეთ უცხოურ ტერმინებს, როგორებიცაა – ფორვარდი (თავდამსხმელი), გოლეადორი (შედეგიანი თავდამსხმელი), პასი გადასცა (ბურთი მიაწოდა) და სხვა მრავალი. სიტყვა ასპარეზობა ძალიან ახლოსაა გამართულ ქართულ ტერმინოლოგიასთან, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია იგი კომენტატორმა „უპრაგონოდ“ მოიშველიოს, როცა საქმე გვაქვს ფეხბურთთან, კალათბურთთან, ჭადრაკთან, ჩოგბურთთან, ხელბურთთან, რაგბისთან, ფრენბურთთან. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ისინი სპორტის სათამაშო სახეობებია.

„სპორტის დედოფლად“ მიჩნეულ მძლეოსნობაშიც უშვებენ „ჩვენი გამოცდილი“ კომენტატორები კაზუსებს. ასე მაგალითად, სპრინტში სირბილის ნაცვლად უნდა ვთქვათ 100 მეტრზე რბენა, ესტაფეტა 4X100 მეტრზე სირბილის მაგივრად უპრიანია ამანათრბენი 4X100 მეტრზე. ცოტა გულმავიწყ ახალგაზრდა კომენტატორებს მინდა შევახსენო, რომ ევროპაში ერთ-ერთი უმშვენიერესი თბილისის სპორტის სასახლე ჩვენი ლეგენდარული ფალავნის გივი კარტოზიას სახელს ატარებს. ამის საბუთია მის შესასვლელთან დადგმული მოჭიდავის საკმაოდ მოზრდილი ძეგლი. რადგან ძეგლზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება დიდი გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ ვიღაც გამომგონებულმა „ფეხბურთის კარუზოს“ სახელობის სტადიონს „დინამო არენა“ უწოდა!!! ჩვენი საამაყო სპორტული სარბიელის მუშტაიდის ბაღის მხრიდან შესასვლელთან აღმართულია არქიტექტორ მალხაზ ცისკაძის მიერ დამზადებული ჩინებული ძეგლი. მე, როგორც ბორის პაიჭაძის ბრწყინვალე თამაშის მნახველს, მიმაჩნია, რომ იგი ძალიან ახლოა ორიგინალთან.

ჩემი წერილი მაჟორულ ნოტაზე მინდა დავამთავრო: ქართული სპორტული კომენტატორების, ბატონების ეროსი მანჯგალაძისა და მისი ბრწყინვალე მეწყვილის კოტე მახარაძის ხსოვნა უკვდავია. სულ ახლახან ამ სტრიქონების ავტორი ეწვია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს და ყვავილებით შეამკო სულმნათი ეროსი მანჯგალაძის მარმარილოს ქანდაკება. კიდევ კარგი, რომ სამტრედიის კოპწია სტადიონი სწორედ მისი სახელობისა გახლავთ.

შალვა ქირია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი

საქართველოს ყოფილი სახალხო კონტროლის კომიტეტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უბრწყინვალესი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე

გურამ სევერიანის ძე მათითაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ ხალვაშის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ ხალვაში (პირადი №61005001236), მის: ქობულეთი, სოფელი ხალა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქობულეთი, დაბა ჩაქვი, აღმაშენებლის №8, სართული I (საკადასტრო კოდი: 20.18.02.089.01.501).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18248.99 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 11 თებერვალი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 22 თებერვალი, 13:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP27541316;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 275413

6. **მოვალე:** ნუგზარ ხალვაში (პირადი №61005001236), მის: ქობულეთი, სოფელი ხალა.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP27541316; ლოტის ნომერი: 275413).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 22 თებერვლის 10:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

რეკლამა **მაჩაბლის ქ. №7.**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ **293-37-87**

◎ რას არ გაიგებ!

„ემოცნებე პროკურორს“ „ნაციონალი მაღალჩინოსნები“ მოკვლას უპირებდნენ!

2016 წლის 14 იანვარს, ღამით, ფოთის პროკურორის ალექსანდრე გოგუაძის სამსახურებრივ ავტომანქანას, როდესაც ის სახლში (გრიგოლეთში) ბრუნდებოდა, ცეცხლი გაუხსნეს. ავტომანქანას ოთხი ტყვია აქვს მოხვედრილი, თავად პროკურორი არ დაშავებულა.

ქალაქში მომხდარის ირგვლივ ბევრი ვერსია გავრცელდა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ პროკურორის უახლოესი გარემოცვიდან გახდა ცნობილი, პროკურორზე თავდასხმა სამეგრელო-ზემო-სვანეთის სამხარეო პოლიციის მაღალჩინოსნებს უკავშირებენ, რასაც წინ უძღოდა ნაწილობრივ გახმაურებული, ღია და ზოგჯერ ფარული დაპირისპირება პროკურორსა და რეგიონში მომუშავე პოლიციის მაღალჩინოსნებს შორის.

„უფრო მეტიც, ყველამ კარგად იცის, თუ კონკრეტულად ვინ ისროლა, მაგრამ ყველას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული“, – აცხადებს „ჯი-ეიჩ-ენის“ წყარო და აღნიშნულის მიზეზად შემდგომ ანგარიშსწორებას და დამნაშავისა და მისი „მოკავშირეების“ მფარველ მაღალჩინოსნებზე მიუთითებს.

წყაროს ცნობით, პროკურორი, რომელიც თანამდებობაზე ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაინიშნა, დღიდან მისი დანიშვნისა, ღიად საუბრობდა და საკუთარი კავშირების გამოყენებით აქტიურად ცდილობდა რეგიონში მომუშავე ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი, ზონდერი მაღალჩინოსნების თანამდებობიდან ჩამოცილებას, რის გამოც, წყაროსვე ცნობით, საიდუმლოდ, სამსახურიდან დასათხოვი პირების „შავ სიებსაც“ კი ადგენდა და „შემკვეთებს“ აწვდიდა, რაც ჩინოსნების ყურამდე მივიდა და ურთიერთობები უკიდურესად დაძაბა.

წყაროსვე ცნობით, სიტუაციამ კულმინაციას სწორედ მაშინ მიაღწია, როცა 2016 წლის 12 იანვარს, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, კადრების განკარგულებაში აიყვანეს სამხარეო პოლიციის ყველა ხელმძღვანელი: გ.ზესაშვილი, ბ.ნიკურაძე, გ.კორსანტია და განთავისუფლების საფრთხე დაემუქრა რეგიონის პოლიციის სხვა მაღალჩინოსნებსაც.

პროკურორზე თავდასხმის ფაქტის შემდეგ, აღნიშნულმა მაღალჩინოსნებმა, სამეგრელო-ზემო-სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიას აქტიური დახმარებით სამსახურში დაბრუნება მოახერხეს.

ამჟამად, როგორც ამბობენ, ჩინოსნები, ყველა შესაძლო კავშირების გამოყენებით, ფოთის პროკურორის თანამდებობიდან ჩამოცილებასა და მის ნაცვლად, მათივე თანამოაზრის, ნაციონალური მოძრაობის ზონდერის, ყველა არჩევნებისას მოსახლეობისა და პრობაციონერების აწიოკებისათვის, მიშას ორგზის ღირსების ორდენის კავალერის, ფოთის პროკურორის ამჟამინდელი მოადგილის გ.კოკაიას მოყვანას აპირებენ.

როგორც ფოთში ამბობენ, პროკურორი ადრეც იყო იგივე პირების სამიზნე, თუმცა, ეკა ბესელიას ლობირებით მოხსნას ბევრჯერ გადაურჩა.

იმედია, ჩემს მიერ მოწოდებული სარწმუნო ინფორმაცია დაინტერესებული სამსახურების მსჯელობის საგანი გახდება.

ერთმანეთის ჩახუტების „ციხე-სიმაგრე“



ბრიტანელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ცოლ-ქმრის ერთმანეთთან ჩახუტებათა ოდენობა მათი საოჯახო კავშირის სიმტკიცის გაცილებით საიმედო ინდიკატორია, ვიდრე სექსუალური აქტების სიმრავლე.

ერთმანეთთან ჩახუტება დიდად უწყობს ხელს კომფორტს, უსაფრთხოებისა და საყვარელ ადამიანთა სიახლოვის შეგრძნების არაჩვეულებრივ გრძნობას. ეს სამი უმძლავრესი ემოცია კი მყარი ურთიერთობების შესაქმნელად სექსზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

ფსიქოლოგები იმასაც აცხადებენ, რომ ამ ფაქტს ასევე ჰორმონალური მიზეზებიც აქვს. ინტენსიური სექსუალური ურთიერთობის შემდეგ პარნტიორები ერთმანეთს უფრო მეტად ემოციურად უახლოვდებიან. ამდენად, ერთმანეთის დანახვაც კი მათ სისხლში ჰორმონ-ოქსიტოცინის გამოფრქვევას იწვევს, რაც ფიზიკური სიახლოვის დიდ სურვილს აღძრავს, რომელსაც ჩახუტება, შეხება და ალერსი სრულად აკმაყოფილებს.

აბა, ღრმად ჩაისუნთქეთ!..

ისრაელელმა მედიკოსებმა მარტივი ხერხი შეიმუშავეს, რომლის მიზანია იმის დადგენა, ხომ არ სჭირს ბავშვს აუტიზმი. ამ მიზნით საჭიროა სასიამოვნო სურნელებათა შესუნთქვის ხანგრძლივობის შედარება (მაგალითად, შამპუნის) ურიამო სუნის (მაგალითად, აყროლებული თევზის) შესუნთქვის ხანგრძლივობასთან.

ბავშვებს, რომლებიც აუტიზმით არიან დასნეულებულნი, შესუნთქვის ხანგრძლივობა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იქნება. ჯანმრთელ ბავშვებს კი უსიამო სუნის შესუნთქვის ხანგრძლივობა გაცილებით ნაკლები ექნებათ, ვიდრე სასიამოვნო არომატის შესუნთქვისას.

თუმცა ისიცაა, რომ აღნიშნული ტესტის პრაქტიკაში დანერგვამდე მეცნიერებმა უნდა დაადგინონ, თუ რა ასაკიდან ეწყება ბავშვს ყნოსვითი ანალიზატორის მოქმედება.

— ჯერჯერობით უცნობია, დაბადებიდანვე აქვთ ბავშვებს ამის უნარი თუ არა, თუ სუნების გარჩევის უნარი თანდათანობით ვითარდება, რადგან ეს საკითხი საგანგებოდ აქამდე არავის შეუსწავლია, — აცხადებენ სწავლული მედიკოსები.

იოგას „ჯანმრთელობის ფარი“

იოგა ცხოვრების ნირის შეცვლაში დაგეხმარებათ და, ამით, დიდ წვლილს შეიტანს არაინფექციური დაავადებებით დასნეულების პროფილაქტიკაში, აცხადებს ინდოეთის ჯანდაცვის მინისტრი.

მისი თქმით, თანამედროვე მედიცინა საკმაოდ კარგად აკონტროლებს ინფექციურ სნეულებებს, მაგრამ ცხოვრების წესის გამო წარმოშობილი დაავადებები, მათ შორის, დეპრესიები, დიაბეტი, კიბო, ინსულტი და სხვ. დღესდღეობით საზოგადოებრივი ჯანდაცვის უდიდეს პრობლემად რჩება. მათთან ბრძოლის წარმატებაში იოგას უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია, ამდენად არ შეიძლება მისი მხოლოდ როგორც ფიზიკური აქტივობის განხილვა. საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი და გაწონასწორებული წესის ჩვევად დანერგვა.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჰორმონების მკვეთრი მუშაობა სოციალური აუცილებლობითაა განპირობებული: დღისით მამაკაცი აგრესიული უნდა იყოს, საკვები მოიპოვოს, საღამოთი კი ოჯახის მიმართ გულისხმიერება და დამყოლობა უნდა გამოიჩინოს.

თუ არ სიამოვნებს, შენც ნუ აკოცებ!

ამერიკელ მკვლევართა განცხადებით, კოცნა ყველას როდი სიამოვნებს.

გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ კოცნა დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს სიამოვნებს. ყველაზე მეტს სამხრეთის რეგიონების მცხოვრებლები კოცნაობენ. ჩრდილოეთის მკვიდრნი კი დადებით ემოციებს განსხვავებულად, უფრო თავშეკავებულად გამოხატავენ.

ისევ მადლიანი ღვინო...

წითელი ღვინო და ყურძნის წიპწა კბილებს კარიესისგან იცავს.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყურძნის შემადგენლობაში შემავალი ბუნებრივი ნივთიერებები პირის ღრუს ბაქტერიებს ანადგურებენ, რაც პოლიფენოლების წყალობით ხდება, რომლებიც ბაქტერიების გამრავლებას ამუხრუჭებენ.

გამოკვლევის ფარგლებში, ლაბორატორიულ პირობებში პირის ღრუს ბაქტერიებს ზრდიდნენ, მიღებულ აპკს რამდენიმე წუთით ცალ-ცალკე ჭაჭაზე და უჭაჭოდ დაყენებულ წითელ, ასევე უალკოჰოლო ღვინოებში, წყალსა და 12-პროცენტიან სპირტში ათავსებდნენ. ყველაზე უკეთესი შედეგი სამივე სახეობის ღვინოებს ჰქონდათ.

სიზარმაცის ფიზიოლოგია

რატომაა ადამიანი ზარმაცი? რატომაა, რომ, ვთქვათ, ჭიანჭველები და ფუტკრები გამუდმებით შრომობენ, ადამიანებსა და სხვა ძუძუმწოვრებს კი ხშირად „ჩეროში კოტრიალი“ ურჩევნიათ?

სიზარმაცე — ნებისმიერი ცოცხალი არსების ბიოლოგიური მდგენელია, რაც, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ნაკლი კი არა, ენერგიისა და რესურსების დაზოგვის სურვილია. ცნობილი ფრაზა, რომ „ადამიანს სიარული რომ ეზარებოდა, ბორბალი გამოიგონა, შემდეგ ველოსიპედი, მერე ავტომანქანა და ა.შ.“, არსებითად, მთელ სამეცნიერო-ტექნიკურ პროცესს ასახავს.

მაშასადამე, ერთი მხრივ, სიზარმაცე — ესაა ორგანიზმის სასარგებლო თვისება, რომელიც რეზერვების დაზოგვისა და გადარჩენის ახალ-ახალი ეფექტიანი ხერხების გამოძებნის საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ კი უმოქმედება — ესაა პარაზიტიზმი, ვიღაცის ხარჯზე არსებობა. კაცი, რომელიც ხედავს, რომ საზოგადოება (ან ვიღაც სხვა) მზადაა, მის მაგივრად იმუშაოს, მუშაობის სტიმულს კარგავს. ცოცხალ არსებათა სამყაროშიც კი ფიზიოლოგიური სიზარმაცის უამრავი მაგალითია — ჭიებში, თევზებში, მწერებსა და ა.შ.

შემოდგომა და ზამთარი: სეირნობის დრო

ჰოლანდიელმა მეცნიერებმა ერთობ მოულოდნელი დასკვნა გამოიტანეს: თურმე სიცხეში ჭარბი წონის დაგდება გაცილებით ძნელია, ვიდრე სიცივეში.

კვლევებით გაირკვა, რომ ორგანიზმში ცხიმის დაწვის პროცესი დაბალ ტემპერატურაზე უფრო აქტიურად მიმდინარეობს. ამიტომ, თუ გახდომა გსურთ, სახლში ზედმეტად ნუ გაჩერდებით და მეტი ისეირნეთ, განსაკუთრებით კი წლის ცივ დროს.

ისევ პირადი კონტაქტი სჯობს

ამერიკელთა უმეტესობას მკურნალ ექიმთან ურთიერთობა ფეისბუქის სოციალური ქსელით ურჩევნია, — ესაა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მკვლევართა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი.

მეცნიერებმა 2,5 ათასი კაცი გამოკითხეს, რომელთა 57 პროცენტმა განაცხადა, რომ ექიმთან კონსულტაციები ამ გზით ან ელექტრონული ფოსტით ურჩევნიათ, 18 პროცენტი კი ამას რეგულარულად აკეთებს.

არადა, მედიკოსებს მიაჩნიათ, რომ მკურნალ ექიმთან პაციენტის ასეთი ურთიერთობა მიუღებელია. მათი აზრით, ეს ეწინააღმდეგება კანონს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, ასევე ეთიკის ნორმების დარღვევის გამოწვევა შეუძლია.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ძალბატონო, რა უნდა გაგიკეთოთ, რომ შეგიყვარდეთ?
— ნარკოზი.

* * *

— თქვენი გოგო შესვენებისას ბიჭებს დასდევს!
— რა მოხდა მერე, მაგის ასაკში ყველა დასდევს ბიჭებს.
— მაგრამ დანით?!

* * *

— ვილაც ტიპი მოვიდა და ამბობს, რომ შენი ახლო ნათესავია, რისი დამტკიცებაც შეუძლია.
— ალბათ, სრული იდიოტია.
— რა თქმა უნდა, მაგრამ მას სხვა მტკიცებულებებიც აქვს.

* * *

სვეტამ ბიჭი გაიცნო. ერთი თვის შემდეგ მათ ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს და საანახევროდ იქირავეს ბინა...

ერთი წლის მერე სვეტამ გაიგო, რომ ბინა იმ ბიჭისა ყოფილა.

* * *

— ჩემი შეყვარებული გოგო სტაბილურად მატულობს წონაში. რა ვქნა?
— აიძულე, რომ ბევრი იაროს. თუ იგი დღეში 5 კილომეტრს გაივლის, ერთ კვირაში შენგან 35 კილომეტრით იქნება დაშორებული.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!